# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge





იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 15 აპრილი. 2016 წ. №70 (7962), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## როდის დაიცავს სახელმწიფო ქართულ ენას?!

5



## ახალი ტაძარი მცხეთაში – აკვანი საქართველოს ოსებისთვის



7



4

## მარჩენალი მიწა და ბიუროკრატიზმი

ამერიკული „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“

## პატრუქი მორიგი კატასტროფისთვის

3





## ვითომ მართლაც არ არის საგანგაშო?

ერთ თვეში საწვავის შემოწმება იწყება

11

## სოხუმი: დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ გამოვიდა

9



## საკონსტიტუციო სასამართლო ისევ ნაციონალურად უბერავს!..



საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის წესები არაკონსტიტუციურად ცნო და არასამთავრობო ორგანიზაციების სარჩელები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დააკმაყოფილა.

**„2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის (კონსტიტუციური სარჩელი №625) და საქართველოს მოქალაქეების გიორგი ბურჯანაძის, ლიკა საჯაიას, გიორგი გოცირიძის, თათია ქინქლაძის, გიორგი ჩიტიძის, ლაშა ტუღუშის, ზვიად ქორიძის, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ (კონსტიტუციური სარჩელი №640) კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.**

**საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები, მართალია, ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს, მაგრამ არ წარმოადგენს ამ მიზნების მიღწევის ნაკლებად მზღუდავ, პროპორციულ საშუალებას. სადავო ნორმები შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიპოვოს პირადი ხასიათის ინფორმაცია განუსაზღვრელ პირთა წრის შესახებ. მართალია, არსებობს პრეზუმფცია, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო ბოროტად არ ისარგებლებს ამ ტექნიკური საშუალებებით, თუმცა, რეალურ დროში პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის (მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის) ფლობა, ადმინისტრირება და ამ საშუალებების გამოყენებით პირადი ხასიათის ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა, ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (მეტადატის) კოპირება და შენახვა ისეთი უწყების მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს გამოძიების ფუნქცია ან არის პროფესიულად დაინტერესებული ამ ინფორმაციის გაცნობით, ქმნის პირად ცხოვრებაში ჩარევის მომეტებულ საფრთხეს.**

**ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა რა, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულება მოითხოვს, როგორც ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ისე ახალი კანონმდებლობის შესაბამისად შემოღებული სისტემის ინსტიტუციურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას, აუცილებლად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსასრულებლად აუცილებელი და გონივრულად საკმარისი დროის გათვალისწინება. ასეთ ობიექტურად საკმარის ვადად საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტამდე პერიოდი მიაჩნია“,** – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

**იმედია, 2017 წლის 31 მარტამდე გიორგი პაპუაშვილის სამარცხვინო კანტორა ნაცხროვისგან გაიწმინდება (რედ.).**

როსტომ ჩხეიძე

## ვაი, ჩვენი ლიტერატურის ბედო!..

6

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!**

# ევროპარლამენტში საქართველოს სრული მხარდაჭერა აქვს



**„ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ევროპარლამენტის მტკიცე მხარდაჭერა აქვს. ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების მიღწევა“,** — ეს განცხადება ევროპარლამენტში საქართვლოს მომხსენებელმა ანდრეს მამკინსმა სტრასბურგში, საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრამდე, ანდრეს მამკინსის განცხადებით, იგი შეხვდა ევროპარლამენტის პრეზიდენტს მარტინ შულცს, სადაც მათ საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე სტრასბურგში იმყოფება, სადაც ის ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციისა და საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავს.

# პრემიერი EBRD-ის წარმომადგენლებს შეხვდა



**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) მზად არის, საქართველოს მთავრობას საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა აღმოუჩინოს და დაეხმაროს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის და სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში EBRD-ის დირექტორის ბრუნო ბალვანერას შეხვედრაზე აღინიშნა.**

შეხვედრაზე განიხილეს EBRD-ის მხარდაჭერით საქართველოში მიმდინარე პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს საიმედო პარტნიორია, არა მხოლოდ ფინანსური თანამშრომლობის, არამედ ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და ევროპული ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით.

# NDI კრიტიკას უპასუხებს და მომდევნო გამოკითხვის გამოქვეყნებას აანონსებს



**NDI-ის ბოლო კვლევების შედეგების მიმართ გამოთქმულ უკმაყოფილებებს და პრეტენზიებს პასუხობს ორგანიზაციის თბილისის ოფისის დირექტორი ლორა თორნტონი. მისი თქმით, უნდობლობა საზოგადოებრივი გამოკითხვების მიმართ ჩვეულებრივია და ეს ყველგან ასეა.**

„ვფიქრობ, ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომლებიც მსგავს გამოკითხვებს არ ენდობიან. ეს ჩემს ქვეყანაშიც ასე ხდება. მიზანი იმისა, რატომაც ვატარებთ საზოგადოებრივ გამოკითხვებს საქართველოში არის ის, რომ დავეხმაროთ სხვადასხვა სახელმწიფო მაღალჩინოსანს — მთავრობაში, პარლამენტში, საარჩევნო კომისიაში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას, რათა მათ ჰქონდეთ უკეთესი წარმოდგენა საზოგადოებრივ აზრთან დაკავშირებით. ამგვარად მათ შეუძლიათ, გაატარონ საჭირო პოლიტიკა, კანონმდებლობა და განავითარონ უკეთესი საკომუნიკაციო სტრატეგია, რაც მოქალაქეების საჭიროებებს ემთხვევა“, — აღნიშნა მან.

თორნტონმა მომდევნო საზოგადოებრივი გამოკითხვის გამოქვეყნება ივნისის ბოლოსთვის დააანონსა.

# „რატომ არის სამინისტრო წარმატებული და მინისტრის რეიტინგი დაბალი?!“



**— არაფერი პირადი, მაგრამ NDI-ის კვლევის შედეგები ჩემთვის ყოველთვის გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენდა. თუნდაც ამ კვლევაში ჩემთვის გაუგებარი მოცემულობაა. მაგალითად, რატომ არის ჯანდაცვის სამინისტრო შეფასებული ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად და მაგალითად, ასევე — არაფერი პირადი, რატომ არის ჯანდაცვის მინისტრის რეიტინგი ყველაზე დაბალი.** არ ვიცი ეს ამბები. შეიძლება ეს ასეც უნდა იყოს, ან ასე არ უნდა იყოს. ერთადერთი შემიძლია ვთქვა, რომ უტყუარი ინდიკატორი არის არჩევნები, როდესაც ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

რა ჯანსაღი და ადამიანური შეფასებაა. ყოჩაღ, ბატონო დავით!

# კლინიკები ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ ინფორმაციას მალავდნენ!!!



**მთავრობის გუშინდელ სხდომაზე „ადამიანის ორგანოთა ექსპორტ-იმპორტის წესის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილების პროექტი დაამტკიცეს.**

სხდომის დასრულების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, კლინიკები სამინისტროს არ აწვდიდნენ ინფორმაციას გადანერგვის ოპერაციების შესახებ. სერგეენკოს თქმით, აღნიშნული დადგენილებით გასწორდა ის შეუსაბამობები, რომელიც 2001 წლის კანონსა და 2010 წლის დადგენილებას შორის იყო.

— ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაცია ერთ-ერთი მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობაა. შეუსაბამობაა 2001 წლის კანონსა და 2010 წლის მთავრობის დადგენილებას შორის, კერძოდ, ის, რომ კანონში ეწერა, სამედიცინო დაწესებულებას ჰქონდა ვალდებულება შეტყობინების შესახებ, ვინ არის დონორი და ვინ არის პაციენტი, ხოლო ლიცენზიებისა და ნებართვების დადგენილების შესახებ დოკუმენტში ეს ვალდებულება არ ეწერა. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც კლინიკები არ გვაწვდიდნენ ინფორმაციებს, ჩამოჰყავდათ დონორები, მიჰყავდათ პაციენტები და აკეთებნდენ გადანერგვის ოპერაციებს და მთავრობამ ამის შესახებ არაფერი იცოდა, რაც მიუღებელია დიდი რისკის გამო და ეს ცვლილება სწორედ ამას ეხება, — განაცხადა სერგეენკომ.

# არჩევნებთან დაკავშირებით განკარგულებას პრეზიდენტი მაისში გამოსცემს



**„პირველ რიგში, არჩევნების თარიღი დადგენილია — ეს არის 8 ოქტომბერი და არჩევნების თარიღის დადგენა კარგია პროგნოზირებადი საარჩევნო გარემოსთვის.** რაც შეეხება, იმ დოკუმენტს, რომელიც მთავრობასთან სიტყვა-სიტყვით იყო შეთანხმებული და რომელსაც ხელი არ მოეწერა — მინდა, მოგახსენოთ, რომ ეს დოკუმენტი გამოვეცი იმდენად, რამდენადაც დამარწმუნა საქართველოს მთავრობამ, რომ 60 დღეზე ადრე არჩევნების დანიშვნა იქნებოდა ფინანსურად დამანგრეველი. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და თურმე შეიძლება უფრო ადრეც დაინიშნოს. შესაბამისად მაისის დასაწყისში მე გამოვცემ აქტს, სადაც იქნება ერთი წინადადება არჩევნების დანიშვნის თაობაზე“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

# პრეზიდენტის განცხადება ბერძენიშვილმა არაადეკვატურად შეაფასა

**„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ პრემიერის შეთავაზება იყო გონივრული, მაგრამ პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ არჩევნების შესახებ განკარგულება მაისში უნდა გამოსცეს, რაც ღიმილის მომგვრელია.**



„კონტრასიგნაცია ისეთივე პოპულარული ტერმინია, როგორიც იყო კოჰაბიტაცია. კინტრასიგნაცია თუ მაისშიც არ იქნება პრემიერის მხრიდან, მაშინ პრემიერის ფუჟი გასროლა ვის ემუქრება, ვერ გავიგე. პრეზიდენტის ეს განცხადება შექმნილი პოლიტიკური ვითარების ადეკვატური არ არის“. განაცხადა ბერძენიშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარის დროს. მისივე თქმით, მარტში, აპრილში ან მაისში პრეზიდენტის განკარგულების ძალაში შესვლა მედიასაშუალებებს პრობლემებს შეუქმნიდა და არ იქნებოდა კარგი საზოგადოებისთვისაც — „ფინანსური თვალსაზრისით აპრილში, მაისში, ივნისში, ივლისში საოლქო საარჩევნო კომისიებში პარტიები დანიშნავდნენ მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს, რომლებსაც საქმე არ ექნებოდათ, ამიტომ ეს დამატებითი ფინანასური ტვირთი იქნებოდა. ბიუჯეტიდან მილიონები უნდა წასულიყო იმ საქმეზე, რომელიც გასაკეთებელი ვერ იქნებოდა“, — აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

# „მარგველაშვილი სხვის ჯიბეში არ უნდა იხედებოდეს“...



**პრეზიდენტის განცხადებებს არჩევნებთან დაკავშირებით ახალი აქტის გამოცემის თაობაზე პასუხობენ უმრავლესობაში. ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, პრეზიდენტი სხვის ჯიბეში არ უნდა იხედებოდეს.** მთავრობამ უკეთესად იცის, რამდენი აქვს და რა შესაძლებლობები. ამიტომ გამართლებულად მიმაჩნდა, რომ საარჩევნო კამპანია სამი თვით ადრე დაგვეწყო და პრემიერმა თავისი მოსაზრება ნათლად დააფიქსირა. ერთმანეთის ჯინაზე საქმის გადაწყვეტა არ წაადგება არც საარჩევნო პროცესს და არც ქვეყანას.

# ტყემალაძე პრეზიდენტის განცხადებას არასერიოზულს უწოდებს



**პრეზიდენტის განცხადებას არჩევნების თარიღთან დაკავშირებით არასერიოზულს უწოდებენ მმართველი გუნდის წევრები. „მრეწველების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მთავრობას აკისრია.** „ცოტა არასერიოზულ განცხადებებთან გვაქვს საქმე. პრეზიდენტი მარტო ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, ამას სჭირდება კონტრასიგნაცია, შესაბამისად ამ თემასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას იღებს მთავრობა, ანუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი არის გამტანი და გადაწყვეტილების მიმღები არის მთავრობა“, — განაცხადა ტყემალაძემ.

# „ეს ჯიუტობა ძვირი დაგვიჯდება!“



**„ეს ჯიუტობა ძვირი დაგვიჯდება, არ ვეთანხმები ამ ჯიუტობას, მთავრობა არის მთავრობა, იმას თავისი უფლებები აქვს, პრეზიდენტს თავისი და რაც უფრო მალე გადაწყდება ეს პრობლემა ის ყველასთვის აჯობებს“,** — ასე ეხმაურება ,,მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადებას.

◉ ამერიკული „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“



# პატრუქი მორიგი კატასტროფისთვის

**ამერიკის „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ კვლევები (ისევე, როგორ მათი „რესპუბლიკელი“ კოლეგებისა) საქართველოში დიდი ხანია, კომედიად იქცა. ოღონდ, იმიტომ კი არა, თითქოს ისინი მართლა რაიმეს თაღლითობენ, აყალბებენ, მანიპულირებენ და ასე შემდეგ: ორივე იმდენად ავტორიტეტული გლობალური ორგანიზაციაა, რომ მიშას, ვანოს, გიგის და კრებით ლიბერალ „თამრიკოს“ გულისთვის არც საკუთარ რეპუტაციას დააყენებენ მსოფლიოში ეჭვქვეშ და არც თავიანთ პარტიათა რენომეს.**

ეს ყოველივე „სასაცილო“ იმიტომ ხდება, რომ რაღაც გაუგებარი და აუხსნელი მიზეზით, ორივე ამერიკული ორგანიზაცია ჯიუტად არ ეშვება საქართველოს, იმეორებს ერთსა და იმავე სისტემურ შეცდომებს და მუდმივად ათრევინებს საკუთარ სახელს ლაფში გაიძვერა ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებსაც როცა რაიმე არ აწყობთ, ვერაფრის დიდებით ვერ აღიარებინებ რეალობას.

სისტემური შეცდომა აქ შემდეგია: საქართველოში ობიექტური და რელევანტური, იმავდროულად, ნდობის აღმძრავი სოციოლოგიური წინასაარჩევნო კვლევის ჩატარება არსებითად შეუძლებელია! ამერიკა სოციოლოგიის სამშობლოა, მაგრამ ამერიკელებს, რაღაცნაირად ჩლუნგი სიჯიუტით არ სურთ გაითვალისწინონ ამ ქვეყნის სპეციფიკა, სადაც უკვე მრავალი წელია, მუშაობენ და შეურიგდნენ იმას, რომ რაც ამერიკაში, ზოგადად დასავლეთში, უკვე კარგად შესწავლილი სოციოლოგიური ფენომენია, საქართველოში სულ სხვა რამეს შეიძლება ნიშნავდეს, განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს და სულ სხვა ფენომენზე მიუთითებდეს.

* * *

**წლიდან-წლამდე, გამოკითხვიდან-გამოკითხვამდე ორივე ამერიკული ორგანიზაცია მონოტონურად აფიქსირებს: საქართველოში ე.წ. „გადაუწყვეტელი ამომრჩევლის“ პროცენტი ძალიან მაღალია. ამას აღიარებენ, ოღონდ არაფრის დიდებით არ სურთ დაინახონ კარდინალური სხვაობა:**

Undecided voters ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, ყველა არჩევნების წინ არსებობს. ამერიკაში ახლა გაცხარებული საარჩევნო კამპანიაა და წინასაარჩევნო კვლევებისას, მუდმივად ითვალიწინებენ, რომ ამერიკელთა დიდ ნაწილს ჯერ არ გადაუწყვეტია ვის მისცემს ხმას: კლინტონს, კრუზს, ტრამპს თუ სანდერსს. ოღონდ, საქართველოსგან თვისებრივი განსხვავება ისაა, რომ ჩვენში ამ „გადაუწყვეტელ ელექტორატს“ სულ სხვა სტრუქტურა და შინაარსი აქვს:

ჯერ ერთი, ამერიკაში შეუძლებელია შემდეგი ფენომენი: ამომრჩეველს მტკიცედ ჰქონდეს (სინამდვილეში) გადაწყვეტილი რესპუბლიკელებს („ნაციონალებს“) მისცემს ხმას თუ დემოკრატებს („ოცნებას“), მაგრამ ამას არ ამხელდეს შესაძლო პრობლემების ან ფსიქოლოგიური დისკომფორტის (მაგალითად, ნაცნობ-ახლობელთა წრეში სხვა განწყობათა პრევალირების) მოსაზრებებით.

გარდა ამისა, ქართველი „მერყევი“ (იგივე „გადაუწყვეტელი“) ამომრჩეველი, განსხვავებით ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი ან იაპონელი ამომრჩევლისაგან, მეტისმეტად ხშირად, საბოლოოდ ხმას აძლევს ხოლმე არა პროგრამებს, არა კონცეფციებს, არა ღირებულებებს, რომელთაც თუნდაც ბოლო მომენტში ირჩევს, არამედ იმას, ვინც მის თვალში გამოჩნდება როგორც „მაგარი“, „ქმედითი“, „ძლიერი“, „გამკეთებელი“, „წარმატებული“, „გამარჯვების ასპროცენტიანი შანსის მქონე“ და ასე შემდეგ. შესაბამისად, ქართველი „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“ ხმას აძლევს იმის წინააღმდეგ, ვინც ასევე მის თვალში არჩევნების წინ წარმოჩინდება, როგორც „სუსტი“, „დაბნეული“, „წარუმატებელი“, „უკვე წაგებული“, „დამარცხებული“, „გაუბედავი“, „დაჩმორებული“ და „გამარჯვების შანსს მოკლებული“.

* * *

**გავიხსენოთ ამ თვალსაზრისით, რა მოხდა 2012 წლის არჩევნების წინ: სექტემბერში, NDI გამოაქვეყნა ერთი თვით ადრე ჩატარებული მასშტაბური, ძალზე წარმომადგენლობითი და რეპრეზენტატიული კვლევის შედეგი, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ დაახლოებით ოთხჯერ უსწრებდა „ქართულ ოცნებას“. მაგრამ არც მაშინ, არც დღეს არავინ მიაქცია ყურადღება და ამჟამადაც ჯიუტად არ ითვალისწინებს, რომ „მერყევი ამომრჩევლის“ ოდენობა, ვინც ამბობდა „არ ვიცი“ ან „არ ვიტყვი“ ვის მივცემ ხმასო ან მხოლოდ „იხრებოდა“ ამა თუ იმ მხარეს, თუმცა მტკიცე არჩევანი არ ჰქონდა გაკეთებული, იმ დროსაც მაღალი იყო!**

ოქტომბრის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ კატასტროფულად დამარცხდა. „კატასტროფულად“, თუ გავითვალისწინებთ რა ადმინისტრაციულ თუ სახელისუფლებო რესურსს ფლობდა და როგორ იყენებდა ამ რესურსს.

ოღონდ იმ ადამიანებს, ვინც დღენიადაგ იხსენებენ 2012 წლის აგვისტოს კვლევას, როგორც NDI-IRI-ს „არაკეთილსინდისიერების“ მაგალითს, ვერაფრის დიდებით ვერ შეაგნებინებ („არ შეიგნებენ“, რაკი „არ აწყობთ“), რომ აგვისტოს კვლევასა და 1 ოქტომბრის არჩევნებს შორის, თანაც კენჭისყრამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, მოხდა კოლოსალური მნიშვნელობის მოვლენა: ციხის გრანდიოზული სკანდალი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია შედეგზე, რადგან ხელისუფლება მაშინ აშკარად დაიბნა (პირველად 2003 წლის შემდეგ!), ნამდვილად აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, წინააღმდეგობრივ მესიჯებს აგზავნიდა; ესე იგი, მერყევი, იგივე „გადაუწყვეტელი“ ამომრჩევლის თვალში მიშას „ნაციონალური ხელისუფლება“ წარმოჩინდა, როგორც „სუსტი“, „დაბნეული“, „წარუმატებელი“, „წაგებული“, „უკვე დამარცხებული“, „გაუბედავი“, „დაჩმორებული“ და „გამარჯვებსი შანსს მოკლებული“.

ის, რომ მიშამ მაშინ მინისტრი გადააყენა, თავადაც დაბნეულ განცხადებებს აკეთებდა და აბობოქრებულ მიტინგებს ველარაფერი დაუპირისპირა (2011 წლის მაისისგან განსხვავებით), მხოლოდ აძლიერებდა მისი „დასუსტების“ და „წაგებულობის“ შთაბეჭდილებას.

სწორედ ეს მომენტი გახდა განმსაზღვრელი და არა იმდენად თვით იმ ამაზრზენი კადრებით გამოწვეული საყოველთაო აღშფოთება, როგორც ხშირად ხსნიან ხოლმე დემაგოგიურად.

**შესაბამისად, „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“, ვინც, შესაძლოა, საერთოდ არ მისულიყო არჩევნებზე, არა მარტო მივიდა საარჩევნო ყუთთან, არამედ კონსოლიდირებულად ხმა მისცა „დასუსტებულ-დაბნეულ-დაჩმორებული“ ხელისუფლების წინააღმდეგ, ესე იგი იმ ძალის მომხრედ, რომელიც მის თვალში, პირიქით, წარმოჩინდა, როგორც „მაგარი“, „ქმედითი“, „ძლიერი“, „გამკეთებელი“, „წარმატებული“ და „გამარჯვების ასპროცენტიანი შანსის“ მქონე.**

რომ არ ყოფილიყო „ციხის სკანდალი“ და საქართველოს ზემოხსენებული სპეციფიკა, Undecided voters ხმები დაახლოებთ ისეთივე პროპორციით გადანაწილდებოდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებზე, როგორც ეს ხდება ამერიკასა და ევროპაში, ანუ თითქმის თანაბრად.

სამწუხაროდ, ამერიკელ სოციოლოგებს, ისევ და ისევ, ჩლუნგად არ სურთ საქართველოს ამ თავისებურების გათვალისწინება და მუდმივად მხრებს იჩეჩენ: „სოციოლოგია ზუსტი მეცნიერებაა და თუ ამერიკასა და ევროპაში „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“ თითქმის თანაბრად ნაწილდება ხოლმე, თქვენთან ასევე რატომ არ ხდებაო“.

მიზეზს ვერ აუხსნი და ვერ შეასმენ იმიტომ, რომ დიახაც სწორხაზოვნები, ფორმალისტურები, არაშემოქმედებითნი, ანუ (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს) სისტემურად არაპროფესიონალნი არიან. აქედან გამომდინარე, შიზოფრენიული „ჩაციკლულობით“ არ სურთ გაითვალისწინონ ღრმა სოციოფსიქოლოგიური (!) სხვაობანი, რაც ნამდვილად ახასიათებთ სხვადასხვა საზოგადოებებს. მათ შორის ქართველ საზოგადოებას – მისი სნეული ეთნოფსიქოლოგიითა და უახლესი ისტორიით.

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს ამერიკელთა პრობლემაა: თუ თვითონ არ უფრთხილდებიანს საკუთარ ავტორიტეტს – გზაც იქით ჰქონიათ!

* * *

**ახლა კი, დავაკვირდეთ, რა გვიჩვენა ბოლო კვლევამ: ამომრჩეველთა 61%(!!!) „არ“ ან „ვერ“ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. დანარჩენი 39% ხმებით კი გამოდის, რომ ხელისუფლების რესურსი 16%-ია, ხოლო ნაციონალთა – 13%.**

მართლა ამერიკელი სოციოლოგებივით „ჩლუნგად ჩაციკლული“ უნდა იყო, ვერ დაინახო და არ აღიარო, რომ 61% – აბსოლუტურად არანორმალური, გიჟური ციფრია, რომელიც მეტყველებს მხოლოდ ერთს: ქვეყანა ზის დენთის კასრზე და კაცმა არ იცის, ეს კასრი როგორ ან როდის აფეთქდება 8 ოქტომბრის არჩევნებამდე ან იმ არჩევნების შემდეგ!

თუ ზემოხსნებულ 13% და 16% დავუმატებთ ამ „გადაუწყვეტელ 61%“ (მისი „ქართული შინაარსის“ გათვალიწინებით), სხვაობა იმდენად დიდი იქნება, საბოლოო სურათს მთლიანად შეცვლის, როგორც ეს მოხდა 2012 წელს. მაშასადამე (აი, ზუსტად აქ იმალება კატასტროფის საფრთხე), 8 ოქტომბრის არჩევნებამდე უნდა მოხდეს რაღაც საშინელება, რაღაც „ციხის სკანდალის“ მაგვარი შოკისმომგვრელი და გამანადგურებელი მოვლენა, რათა „გადაუწყვეტელი ამომრჩეველი“ ისევე კონსოლიდირებულად გადავიდეს ერთ ან მეორე მხარეს!

ხსენებული „61%“-ია სწორედ ის „დენთის კასრი“, რომელმაც შეიძლება სიტუაცია მთლიანად ააფეთქოს!

ძირითადმა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა ეს შესანიშნავად იციან: იცის მიშამ, იცის ბიძინამ. ორივე საკმარისად ჭკვიანია საამისოდ. ამიტომ, ორივე მხარე უეჭველად შეეცდება, რაიმე მორიგი დამანგრეველი შოკი მოაწყოს ამ საცოდავ, ისედაც მრავალგზის შოკირებულ ქვეყანაში, რათა ამ „დენთის კასრზე“ მოწინააღმდეგე აფეთქდეს, როგორც „ნაციონალები“ აფეთქდნენ მასზე 2012 წელს.

უკვე ამის გათვალისწინებით, დავაკვირდეთ „ინტიმური ვიდეოების“ სკანდალს, რომელმაც, არჩევნების მოახლობისთანავე, შესაძლოა, „ამაალებელი პატრუქის“ როლი შეასრულოს, თუმცა სხვა საშუალებები და ტექნოლოგიებიც არსებობს.

ერთი სიტყვით, „საოცნებოდ“ ისლა დაგვრჩენია, მომავალმა აფეთქებამ (მრავალი სიმპტომით იგი გარდაუვალია) მთლიანად ქვეყანაც არ დააქციოს და ყველანი თან არ ჩაგვიყოლოს!..

**დავით ავალიშვილი**

◉ დეტალი

# „არჩევნების პროფესიონალიზმი“

## შეიცვალა განა რამე ჩვენ ცხოვრებაში?

**ამ დღეებში ხელში ჩამივარდა ჩვენგან უდროოდ წასული სამაგალითო მწერლის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის, შესანიშნავი მამულიშვილის ჯანსუღ ღვინჯილიასადმი მიძღვნილი ბროშურა „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნების ნიმუში“.**

**მასში დაბეჭდილია მისი 17 წლის წინათ გამოქვეყნებული სტატია „არჩევნების პროფესიონალიზმი“. კითხულობ მას და გგონია, ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა არც საქართველოს, არც მისი ხალხის ცხოვრებაში. კვლავინდებურად „გვშია, გვწყურია, არ გვახურავს, ოჯახიც მოუვლელი გვაქვს და ქვეყანაც, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცით, ვინ ავირჩიოთ... დილეტანტების დონეზე დავრჩით. ამიტომ ვერ განვავითარეთ ცხოვრების ვერც ერთი სფერო ცივილიზებული ქვეყნების შესაფერისად. შორს გაგვისწრო ყველა გამორჩეულმა ქვეყანამ“.**

**თითქოს დღევანდელ დღეს უყურებს ჯანსუღ ღვინჯილია – დღეს ჩვენს წინაშე დგას ურთულესი ამოცანა – 8 ოქტომბერს უნდა ავირჩიოთ ახალი პარლამენტი, რომელმაც კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს ჩვენი ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა. კვლავ გაისმის ხმები, რომ კიდევ ერთი პარლამენტი იქნება არჩეული, წინამორბედთა მსგავსი, ანუ ცუდი, წერს მწერალი და ვფიქრობ, საიდან განჭვრიტა 17 წლის წინათ დღევანდელი დღე და სიტუაცია, და გვაფრთხილებს: არაფერი გამოვა ამ არჩევნებიდანაც, თუ დიამეტრალურად არ შევიცვალეთ თავად ჩვენ, სანამ ჩვენ არ შევიცვლებით, რიგიან პარლამენტს ვერ ავირჩევთ. და გვირჩევს: თუ არ გვინდა ჩვენს ცოლ-შვილს და ჩვენს ქვეყანას ხვალაც ასევე უჭირდეს, როგორმე უნდა ავირჩიოთ ჭკვიანი, წესიერი, პატიოსანი, უნარიანი ადამიანები. როგორ ხალხსაც ჩავაბარებთ ქვეყანას, ისეთივე ცხოვრება და ქვეყანა გვექნება ხვალ!**

**წიგნს თან ერთვის ცნობილი ჟურნალისტების ლალი კობახიძის, შიო ლარცულიანისა და მარატ ღვალაძის გამოხმაურება, რომლებიც იმედს გამოთქვამენ, რომ ჯანსუღ ღვინჯილიას წერილს აქტუალობა არ დაუკარგავს დღესაც, იგი წინასწარმეტყველურად ემყარება მომავალი საპარლამენტო კამპანიის კრიტერიუმებს და საყოველთაოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული საზოგადოდ ქართველი ხალხის, მისი მომავლის საკეთილდღეოდ.**

**წიგნის რედაქტორ-გამომცემელია ჩვენი კოლეგა, მწერალი და ჟურნალისტი, მრავალი პრემიისა და ჯილდოს მფლობელი, გაზეთ „თანადგომის“ დამფუძნებელი ანზორ ბაბუხადია.**

**არ შემიძლია, ამ წერილში მთლიანად არ მოვიყვანო მისი წინასიტყვაობის მეტად საყურადღებო დასკვნითი ნაწილი:**

**„ხელისუფალნო, ალბათ, თქვენც გაეცნობით ბატონი ჯანსუღის ნააზრევს და დაგაფიქრებთ ის, თუ რატომ არ უნდა დააყენოთ თქვენი პირადი ინტერესები საქვეყნო ინტერესებზე მაღლა!“**

**ზურაბ ლომიძე**





# ჩვენი ქვეყანა – მართლაც წერე და იკითხეს ბაღნარი?!

## როგორ ვერ გავხდი ფერმერი, ანუ შვიდი არაფრისმთქმელი ბარათი რვა თვეში

**აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: „თქვი, შვებას იგრძნობ!“ თუმცა ქართული სიბრძნით – „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო!“ ვცდი ბედს, ვიტყვი და ვნახოთ, რა მოხდება. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს!**

მაშ ასე, მშობლები რომ გარდამეცვალენ და მათს ნალოლიავებ ეზო-კარს მტერი და მოყვარე გასანადგურებლად შეესია, თანაც, იმაშიც დავრწმუნდი, რომ ქალაქში ჩემისთანა კაცის ცხოვრება აუტანელი გახდა, მოვბრუნდი მამაპაპეულ ოჯახში და შესაძლებლობის მიხედვით გავმართე პატარა მეურნეობა: ძროხა, ღორი, ინდაური, ქათამი, ყანა და ბაღჩა, მოვაშენე ფუტკარიც. ასე რომ, დღიდან ჩამოსვლისა, ათ წელიწადში კარგა გამართული საქმის პატრონი გავხდი. თაფლით, რძის პროდუქტებითა და ხორცით ვშველოდი ხუთი ლტოლვილისგან შემდგარ ჩემს ოჯახს ქალაქში. რაც მთავარია, სანოვაგე, რომელსაც მე ვაგზავნიდი, ეკოლოგიურად სუფთა გახლდათ, რაც დღეისათვის არცთუ ცოტას ნიშნავს.

მიღებული შედეგით გახალისებულმა ორიოდე წლის წინათ ჩემს მიღწევაზე წერილი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გავაგზავნე და... გამოხმაურება და გამოძახილი მაშინდელი იყო სათქმელი. მირეკავდნენ ნაცნობები, ამხანაგები, ახლობლები, მირჩევდნენ საქმის გაფართოებას და სურვილსაც გამოთქვამდნენ, რომ ჩემს გზას დასდგომოდნენ.

მეურნეობის გაფართოებას მიწის სათანადო ფართობი სჭირდებოდა. შევუდექი მიწის მოძიებას. მიწის შეძენის სურვილით ვეახლე რაიონულ გამგეობას. მასწავლეს, რომ ამ საქმეში კვალიფიციურ ინსტრუქტაჟს მივიღებდი აგროფირმის დირექტორ ბატონ გელა ზოიძესთან. ბატონი გელა დიდი ხნის ნაცნობია, კარგი ურთიერთობა გვაქვს.

– გახდი კოოპერატორი და მიწასაც შეიძენ და ბევრ სხვა რამესაც, – გურული სისხარტით მირჩია მან. სხვა რამე არ მჭირდებოდა, მაგრამ მიწის ნაკვეთის, თანაც ბაბუასეულის (ყოფილი საკუთრება), რომელიც ხან საკოლმეურნეო გახლდათ და ხან სახელმწიფო, სურვილი უძილო ღამეების საბაბი გამიხდა.

ჯახირისა და პირველიდან მეოთხე სართულზე ორკვირიანი (ეს მოძრაობა ყავარჯნიანი კაცისთვის, მერწმუნეთ, ძნელია) სიარულის შემდეგ, როგორც დღეს უყვართ თქმა, დავფიქსირდი კოოპერატორად. გადახდილ შესატანებს საბუთების „სასწრაფოდ“ დამზადებისათვის ორას ლარამდე დასჭირდა, რასაც უდრტვინველად შეეწირა ჩემი ერთ-ერთი ბოჩოლა. ასე იყო თუ ისე, კოოპერატორის სტატუსი რაკი გავიჩალიჩე, ცას ვეწიე სიხარულით. მით უმეტეს, ბატონი ზოიძისაგან დაიმედებული გახლდით, რომ ჩემი სტატუსით ქვას გავაპობდი. იმედმოცემულმა და გზაგაკვალულმა, გასული წლის დეკემბერში განცხადება ვაახლე ეკონომიკის მინისტრს (ასე დამარიგეს). ბატონი კვირიკაშვილის ნაცვლად, ჩემს წერილს, ზუსტად ერთი თვისა და 27 დღის შემდეგ უპასუხა სამეგრელო-გურია, ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსმა, ბატონმა გოჩა კანკავამ. თითქმის ერთგვერდიანი წერილი შედგებოდა კანონების წიგნიდან ამოკენკილი ამონარიდებით. წერილში რატომღაც მელაპარაკებოდა მესამე პირით, ერთადერთი სიტყვა, რაიც პირადად მეხებოდა, გახლდათ: **„გთხოვთ, გაითვალისწინოთ“. რის გათვალისწინებას მთხოვდა ბატონი გოჩა, დღემდე ვერ გამირკვევია. თუმცა, ბუნდოვანება და გაურკვევლობა, თურმე წინ რომ მედო, ის ყოფილა თავში საცემი.**

ბატონი კანკავა, ვიმედოვნებ, ჩაწვდა თავის პირველი პასუხის უსულგულობას და 24 აპრილს ახალი პასუხი გამომიგზავნა, კოდექსიდან ამოკრეფილი იმავე მუხლებითა და არაფრისმთქმელი მითითებებით. საბოლოო ვერდიქტი კი უცვლელი გახლდათ: **„გთხოვთ, გაითვალისწინოთ“.** რა უნდა გამეთვალისწინებინა და რის სანაცვლოდ, როგორც წესი არ გმოძღვრავდნენ.

2015 წლის 20 მაისს, მოტობლოკის შეძენის მიზნით, ვიმყოფებოდი ბატონი კანკავას რეზიდენციაში ქ. ფოთში. ვინახულე ბატონი გოჩა კანკავა და გავუმჟღავნე ჩემი განცვიფრება მისი უსულგულო და არაფრისმთქმელი პასუხებისათვის. როგორც შევატყვე, ჩემი მასპინძელი გაცილებით უკეთ მეტყველებდა, ვინემ წერდა. მან ჩვეულებრივი ქართულით ამიხსნა, რომ თუ მეურნეობის გამართვას ვაპირებდი, მიწა იჯარით უნდა ამეღო, რადგან – **„ახალი მთავრობის მიერ მიწის გაყიდვა შეჩერებულიაო“.**

ერთი იმისი არ იყოს, მე რომ დამჭირდა, მაშინ მოკვდა ლენინი? არაბი ჩვენ არ მოვიკელით, ინდუსი, ჩინელი და მაღრიბელი. ახლა კი, მე ბაბუაჩემის ნაქონი უსარგებლო მიწა რომ გავაცოცხლო, ამით დაინგრევა ქვეყანა?

ე.ი. მიწა უნდა ამელო იჯარით. იქვე დავწერე შესაბამისი განცხადება. პასუხმაც არ დააყოვნა, 25 მაისს იგი ხელთ მქონდა. მკაცრ გაფრთხილებას, კოდექსით მუქარას ვერც ამჯერად გავექეცი.

ამ წერილიდან ორმოც დღეში ახალი მივიღე. ბატონი კანკავა ამჯერად მატყობინებდა, რომ ჩემი საკითხის **„შესწავლას კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა ესაჭიროებოდა და მისი ხილვა 1 აგვისტოს პერიოდის ვადით მოხერხდებოდა. წინამდებარე აქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო.“** – მახსენებდა უფალი კანკავა. რატომ, რისთვის?

თუმცა, სიტყვის კაციაო, რომ იტყვიან, სწორედ ბატონ გოჩა კანკავაზეა ნათქვამი. იგი 1 აგვისტოს არ დაელოდა და დაპირებული პასუხი ერთი დღით ადრე, 31 ივლისს მაახლა: **„...გადაწყვეტილებას დაელოდეთ 30 აგვისტოს პერიოდის ვადით.“** უფალი გოჩა ამჯერადაც მამუნათებდა **„...აქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარებაო“.**

ერთი სიტყვით, რა ძალა მქონდა, უნდა დაველოდებოდი 30 აგვისტოს მოხსენებას და ბატონი გოჩას ახალ წერილს. როგორც ჩანს, ბატონ კანკავას სინდისმა შეულიტინა, ამ კაცს საქმეს მაინც ვერ ვუკეთებთ და პასუხი დათქმულ დროზე სამიოდე დღით ადრე გავუგზავნოთო. 27 აგვისტოს გამახარა კიდევაც თავისი გზავნილით... წერილი ისევე საკანონმდებლო ლიტერატურის მუხლებითა და პუნქტებით გახლდათ გაჭყეპილი. **„...განხილვის ვადა 2015 წლის 7 ოქტომბრამდე...“**

ჩავვარდი საგონებელში, რის გამო და რატომ ჭიანურდება ჩემი ბაბუასეული მიწის შეძენის საკითხი.

მიწის შეძენის სურვილმა და მასთან დაკავშირებულმა ძიებამ, ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხამდე მიმიყვანა. ჩემი სოფლის ერთ-ერთ, 50-კომლიან უბანში, მიწების პრივატიზაციის დროს სოფლის მარიფათიანი ბიჭები, თავის დღეში საკოლმეურნეო შრომაში ხელი რომ არ გაუტოკებიათ, საპრივატიზაციო კომისიაში მოკალათდნენ და მიწებს ყველჭარბი ხაჭაპურის, მსუქანი დედლებისა და თავნაქაფი ადესის სიუხვის მიხედვით ანაწილებდნენ ისე, რომ თავიანთი თავიც არ ავიწყდებოდათ. ასე რომ, ყველაზე ბევრი მიწა ყველაზე ხელგაშლილ მასპინძლებს ერგოთ. დღეის მდგომარეობით სახნავ-სათესი მიწის 50% სამი-ოთხი პირის საკუთრებაა, დანარჩენიდან 30% – კომისიის წევრების, ხოლო დარჩენილი 20% – დანარჩენი მოსახლეობის. ამ მოქმედების ანალოგიური ფაქტები, როგორც მეუბნებიან, არაერთი და ორი ყოფილა რაიონში, რომლის აღმოსაფხვრელად ვერა და ვერ იცლიან ურთიერთპარტიულ ძიძგნას გადაყოლილი ადგილობრივი მესვეურები. მეტიც, აღნიშნულ საკითხზე და საკარმიდამოების მიმდებარე ხელოვნურად გაშენებული ტყეების მიტაცების საკითხზე არაერთხელ მისაუბრია რაიონის გამგებელ ზაზა ურუშაძესთან. პირდაპირ განმაცვიფრა მისმა ინერტულობამ: **„აბა, მე რა შემიძლია, ხალხი ამიბუნტდებაო“.** დიახ, ბატონი ზაზა ერთ-ერთი იმათგანი გახლავთ, არჩევნების მოლოდინში განგებ რომ იბრმავებენ და იტყუებენ თავს.

ნამუშევარი ვარ ფოთის პორტის პრესსამსახურის უფროსად და კარგად ვიცი, რა მოვალეობა აკისრია ამ სამსახურს, შესაბამისად ძლიერ მაკვირვებს დღევანდელი სამინისტროებისა და მათი ქვემდებარე უწყებების ანალოგიური სამსახურების საქმიანობა, რომელთა შენახვაზე ასობით ათასი ლარი იხარჯება, შედეგი კი თითქმის ნულოვანია. ვერც ერთი უწყება ვერ მოგვცემს იმის ანგარიშს, თუ რას აკეთებენ ისინი მათი უწყების სამხილებლად გამოქვეყნებული წერილების პასუხად. და ერთიც, **ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, გამომინელდა ის ცეცხლი, რაც ფერმერულ საქმიანობას სჭირდებოდა: გავყიდე ძროხები და უშობლები, სადედე ღორები და მივემატე ბაზრის მომხმარებელთა რიგებს. აი, ბატონებო, პატარა, მაგრამ გულმოსაკლავი მაგალითი. და კიდევ, რაც შეეხება საბანკო „იაფ აგროსესხებს“, მართალია, მე ის აღარ მჭირდება, მაგრამ სხვები ხომ იმედით შეჰყურებენ ამ დახმარებას. ჰოდა, დამისახელონ საქართველოში მოქმედი 10-15 ფერმერი, რომლებმაც მათი გულუხვობით ისარგებლეს. რაც მე ამ ორი წლის მანძილზე ბანკებთან ღრიჭინში გადამხდა თავს, მტერსაც არ ვუსურვებ, არადა, თუ ბაბაია არ გიზის ზედა ეშელონებში, არავინ შემოგხედავს. მგონი, საკმაოზე მეტი ვთქვი.**

თუ კი ჩვენი სიმართლისმაძიებელი მთავრობა ამ ფაქტის შესწავლით დაინტერესდება, მათი ხმალი და ჩემი კისერი, მობრძანდნენ და ვუმასპინძლებ (ბევრ უკეთეს და უკეთეს ფაქტს მივაწვდი). ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ახალი მაგისტრალისთვის მოსახლეობისგან მიწის ნაკვეთების შეძენა დაიწყო.

**დავით ასკურავა.**

**ლანჩხუთი, სოფელი ქვიანი.**

> ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, გამომინელდა ის ცეცხლი, რაც ფერმერულ საქმიანობას სჭირდებოდა: გავყიდე ძროხები და უშობლები, სადედე ღორები და მივემატე ბაზრის მომხმარებელთა რიგებს. აი, ბატონებო, პატარა, მაგრამ გულმოსაკლავი მაგალითი. და კიდევ, რაც შეეხება საბანკო „იაფ აგროსესხებს“, მართალია, მე ის აღარ მჭირდება, მაგრამ სხვები ხომ იმედით შეჰყურებენ ამ დახმარებას. ჰოდა, დამისახელონ საქართველოში მოქმედი 10-15 ფერმერი, რომლებმაც მათი გულუხვობით ისარგებლეს. რაც მე ამ ორი წლის მანძილზე ბანკებთან ღრიჭინში გადამხდა თავს, მტერსაც არ ვუსურვებ, არადა, თუ ბაბაია არ გიზის ზედა ეშელონებში, არავინ შემოგხედავს...

**P. S. კომპიუტერის ოპერატორმა გოგონამ, ამ სტრიქონების აწყობისას ჩაიღიმა. მიზეზი რომ ვკითხე, ასე მიპასუხა: არა მგონია, ვინმე თქვენი მიწოდებული ფაქტებით დაინტერესდეს. ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია, წერე და იკითხეს ბაღნარიაო.**

**დ. ა.**

# სოფლის მეურნეობაში იტალიელთა გამოცდილება წაგვადგება

**სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი იტალიის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) წარმომადგენლებს შეხვდა.**

**შეხვედრის მიზანი სოფლად განვითარების პროექტის ფარგლებში, იტალიის გამოცდილების გაზიარება და ამ კუთხით, სოფლად განვითარების პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებისთვის სემინარის მომზადების საორგანიზაციო საკითხების განხილვა იყო.**

**შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა ვრცლად ისაუბრა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაზე და ყურადღება პრიორიტეტულ მიმართულებებზე გაამახვილდა.**

**შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალს და აღნიშნული მიმართულების განვითარებისთვის იტალიურ მხარესთან თანამშრომლობის მნიშვნელობას.**

**„ჭირი დაუმალავი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპიუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვივდებიან საფლავებში. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას — მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს“, — ასე წერდა მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1924 წელს. თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ და შეიცვალა რამე?! — მხოლოდ ერთი, რუსული ენა ინგლისურმა ჩაანაცვლა!**

# როდის დაიცავს სახელმწიფო ქართულ ენას?!

ენა ერის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი და ინტელექტუალური საწყისის, მისი მენტალობის გამომხატველია. აშკარაა, რომ ენის წიაღში ბევრი რამ საიდუმლო იმალება, ენა აძლევს პიროვნებას სტატუსს, განასხვავებს ამ სამყაროში ყველა სხვა არსებისგან, ენა ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, მარადიულობასთან წილნაყარს ხდის. ენის წიაღში დაცულია ღვთაებრივი ენერგია, რომელიც სხვადასხვა დროს ამოხეთქავს, როგორც განსაკუთრებული ფენომენი პოეტურ სიტყვაში გამოვლენილი თუ მეცნიერულ აზრში გაცხადებული. ენა თავად ქმნის რეალობას და ამ სინამდვილის მოწმედ გხდის. ენის განცდა საკუთარი თავის შემეცნებას უკავშირდება, ამ გზით კი პირველხატს, უზენაესს მივეახლებით. მეტყველება — ესაა შინაგანის გამოვლენა გარეთ თავისი ავ-კარგით. ამიტომ ადამიანის საუბრის მანერა ხშირად წარმოაჩენს მის ფსიქო-ემოციურ სამყაროს, ხასიათს, ბუნებას, სულიერებას. სიტყვას აქვს დიდი ძალა, იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო, როგორც ხატი. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვამ შეიძლება გაცხონოს ან წარგწყმიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე და კაცთაგან პირველი შევიდა სასუფეველში. თავად მაცხოვარი ასე გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“. ენა ღვთაებრივი საუნჯეა — როგორც ბრძანა წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) — და მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს!

**ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ყოველგვარი სულიერი ფასეულობის დევალვაცია მოხდა, აღარაფერი შემოგვრჩა მშვენიერი და ამაღლებული, „ენაი შემკული და კურთხეული“ (როგორც იტყოდა იოანე-ზოსიმე) ქუჩური, ჟარგონული გახდა. ყველგან დამახინჯებულ, შერყვნილ და წაბილწულ ქართულს ვუსმენთ. ქვეყანაში ტოტალური უგულებელყოფითი დამოკიდებულებაა ენისადმი, სიტყვისადმი, აღარსად ისმის „საამური ქართული სიტყვა“ (ილია), ვერც თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და ვერც თეატრმა ფეხზე ვერ წამოაყენეს ქართული ენა, მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრით.**

ერისა და პიროვნების კულტურა განიზომება მეტყველების კულტურის ხარისხითაც და, როცა ზეპირმეტყველების კულტურა დაეცემა, ეს აზროვნების დაბალი დონის მანიშნებელიცაა, რადგან აზროვნება და მეტყველება ერთმანეთისგან განუყოფელია. ვინ ვართ ჩვენ დღეს? — საკუთარი დედის მაგინებელი, ბილწსიტყვაობის უმძიმეს ცოდვაში ჩარჩენილი ერი! მეტი სასჯელი და უბედურება რაღა უნდა იყოს! ამიტომ წერდა თავის დროზე სულით შეძრული პოეტი ანა კალანდაძე: „ბილწსიტყვაობას ქვეყნისთვის ნარკომანიაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია“.

უცნაურ დროში ვცხოვრობთ. პარადოქსია, რადგან, ერთი მხრივ, მშობლიურ ენას სკოლებში კარგი სახელმძღვანელოებით ასწავლიან, ყურადღება ექცევა პრაქტიკულ გრამატიკას, მართლწერის საკითხებს, მერე მისაღებ გამოცდებზედაც საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია ამ მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლება აკადემიური წერა თუ სტილისტიკა, მაგრამ საშველი მაინც არ დაგვადგა. რატომ? — უწიგნური თაობა მოდის, რომლის ცოდნა მხოლოდ ინფორმაციულია, შესაბამისად — ზედაპირული, არც სიღრმე და არც ფიქრის ანარეკლი ჩანს. ახალგაზრდები თუ სწავლობენ, მხოლოდ გამოცდამდე მოაქვთ ცოდნა და ცხოვრებაში გამართული ქართულით საუბრის სურვილი არა აქვთ, ვერც უფროსი თაობისგან იღებენ პიროვნულ მაგალითს და ასე ჯადოსნურ წრეში ვტრიალებთ. არა მგონია, უცხო ენის მოძალება ამ შემთხვევაში იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი. რასაკვირველია, ამდენი უცხო სიტყვა, რომლებიც ასე მოეძალა ენას, სერიოზულ პრობლემას ქმნის, თუმცა, არაქართული ინტონაციებით საუბარი, გადაპრანჭული და ბუნდოვანი ქართული ერთდროულად იმის მანიშნებელიცაა, რომ ფეხის ხმას აყოლილი და თანაც შინაგანი არასრულფასოვნების კომპლექსის მსხვერპლნიც ვართ. წერა და აზროვნება ერთი მთლიანი პროცესია, ლოგიკა კი დიდი ხანია, აღარ გვაქვს არაფერში.



მთელი სამყარო ხომ ენაში და ენით არსებობს! ერი უკვდავია მხოლოდ მაშინ, თუ ის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ახლა ჩვენ თვალწინ ირღვევა ქართული ენის სტრუქტურა, სინტაქსი.

ხშირად იცვლება სიტყვის სტანდარტი, ჟურნალისტების ზეპირმეტყველება სწრაფი, აგრესიული, არაბუნებრივი, გაუმართავი და ღარიბია. რაც დრო გადის, ვშორდებით ბუნებრივ ქართულს, დარბაისლურ მეტყველებას. მასმედიაში გაქრა ჟანრები, ყველაფერს ერთნაირი ქართულით გვიყვებიან, ინფორმაციის ენა აღარაფრით განსხვავდება რეპორტაჟის ან მოწინავე სტატიის ენისაგან. რადგან ასეთი გაუბრალოებული და ერთგვაროვანია ყველაფერი, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ენა, ზოგადად, ველარ ვითარდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა საგანგაშოა!

**ყველაზე უარყოფითი გავლენა თაობაზე მაინც ტელევიზიამ მოახდინა, მან ინდივიდუალურობა წაართვა და დაუკარგა ჩვენს მომავალს. ხშირად მინატრია, ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც არ არის ტელეისტერია და რადიოს უფრო მეტი მსმენელი ჰყავს. ჯერ ერთი, ამდენი გაყალბებული, არაფრისმთქმელი, უნიჭო და უკულტურო სახის ყურება; მათი ცხოვრების წესის „გაპიარება“ და ვითომ კომპეტენტური აზრების ფრქვევა უკვე ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს, ამდენი გასართობი შოუპროგრამა და მათი ტაკიმასხარა წამყვანები, რომლებსაც არც ესთეტიკა აქვთ და არც სამყაროში ორიენტაცია შეუძლიათ, მათი ვითომ „სვეტური“ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ მხოლოდ პოპულარობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების უსუსურ ბორგვას მაგონებს. მერე სკანდალებზე აგებული გადაცემები, სენსაციებზე, ერთობ პიკანტურსა და ინტიმურ თემებზე დასმული აქცენტები, რომელი ერთი ჩამოვთვალო... თანაც როგორ ენაზე მოსაუბრე არხები: ფანტასტიური; ვსვავ; ვდგავ; რამოდენიმე; ლირიული; ეროტიული; დინამიური; მე რას ვიძახი, რო; ძაან მაგარი; მადლობა მინდა მოგიხადოთ; ბევრი პრობლემები; ცნობადი სახეები; კითხვადი წიგნები; ყურებადი გადაცემები... სამწუხაროდ, ქალაქურობადაა მიჩნეული უცხო სიტყვების სპეციფიკური პრონონსით წარმოთქმა, წამღერებითი ინტონაციის მოძალება, არაბუნებრივი მახვილები. თბილისელობა სკაბრეზულობასაც კარგად ირგებს და მივიღეთ დღევანდელი მეტყველება — უვიცობისა და უწიგნურობა-უკულტურობის გამომხატველი ვერბალური ნონსენსი!**

მცირე ერების წინაშე ყოველთვის დგას ენის სიწმინდის საკითხი. ამიტომ ჯერ კიდევ 1921 წელს შეიქმნა ტერმინოლოგიათა შემმუშავებელი სამეცნიერო საბჭო (ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი), 1934 წელს ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, 1946 წელს — ნორმათა დამდგენი კომისია (ხელმძღვანელობდნენ ჯერ ს. ჯანაშია, შემდეგ — ა. შანიძე), 1953 წელს საფუძველი ჩაეყარა სალიტერატურო ნორმათა დამდგენ მუდმივ კომისიას, 1998 წელს ჩამოყალიბდა ენის სახელმწიფო პალატა.

რით დავიწყოთ?

უპირველესად, უნდა აღდგეს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წლის ოქტომბერში ვარდების რევოლუციის დამანგრეველ რეფორმებს შეეწირა.

ენის სახელმწიფო პალატა იყო მაკონტროლებელი ორგანო. მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდა ყველა იურიდიულ პირზე — სახელმწიფოსა და არასახელმწიფოზე და ის აკონტროლებდა ყველა უწყებაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. რატომ უნდა გასჩენოდა ადამიანს ასეთი სტრუქტურის დანგრევის სურვილი, თუ არ იყო მიზანმიმართული პოლიტიკა ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების წინააღმდეგ?! სახელმწიფომ უარი თქვა „ენის პოლიციაზე“, სამაგიეროდ, პოლიციური რეჟიმის მშენებლობას შეუდგა.

მთელი სამყარო ხომ ენაში და ენით არსებობს! ერი უკვდავია მხოლოდ მაშინ, თუ ის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ახლა ჩვენ თვალწინ ირღვევა ქართული ენის სტრუქტურა, სინტაქსი.

**მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის — ილია.**

**რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს — გრიგოლ ორბელიანი.**

ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენა ქართველთა ერთობისა და ქართული სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია, ამიტომ მისი სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა ეტაპზე და მის სიწმინდეს, მთელ ერთან ერთად, უნდა იცავდეს სპეციალური ორგანო!

**მარტინ ჰაიდეგერმა ადამიანი ასე განსაზღვრა — მე ვარ ის, რასაც ვლაპარაკობ!**

**დღეს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, შეიცვალა ენობრივი გარემოც. ღია საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე, სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს „ენის პოლიცია“, რომელიც დაიცავს მას გარეშე აგრესიისგან, რომელიც გააკონტროლებს ენობრივ პოლიტიკას ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ ახალ ხელისუფლებას ეყოფა კეთილგონიერება და, სხვა ბევრ დანგრეულთან ერთად, ენის სახელმწიფო პალატასაც აღადგენს!**

**საბა მეტრეველი**

## „გაზპრომთან“ ხელშეკრულება ძველი პირობებით 2016 წლის ბოლომდე იმოქმედებს

**საქართველოს მთავრობამ მოიწონა ენერგეტიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი — შპს „გაზპრომ ექსპორტის“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ მომზადებული „საქართველოს ტერიტორიის გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტის მოცულობების და პირობების შესახებ“ 2003 წლის 30 მაისს გაფორმებული №2107-12/03-05 ხელშეკრულების დამატების №22 პროექტი. დოკუმენტის თანახმად, ძალაში რჩება კონტრაქტის ძველი პირობები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს, სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის სანაცვლოდ, გატარებული ბუნებრივი აირის 10 პროცენტს მიიღებს. აღნიშნული პირობებით, ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

## ემზადებიან „ძეგვიჰესის“ აგებისთვის

**ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია შპს „ჯეო ფაუერს“ შორის გაფორმდება ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სოფელ ძეგვში, მდინარე მტკვარზე „ძეგვიჰესის“ მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლას, მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას. „ძეგვი ჰესის“ სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 15,7 მგვტ, ხოლო სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 24 მლნ აშშ დოლარია.**

**მემორანდუმის პროექტის თანახმად, კომპანიას მიენიჭება ექსკლუზიური უფლება 12 თვის განმავლობაში ზემოაღნიშნულ მდინარეზე განახორციელოს სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ჩაატაროს საჯარო განხილვები და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ წინადადება წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. კომპანია კისრულობს ვალდებულებას, მშენებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში აიღოს მშენებლობის ნებართვა, ხოლო 30 თვის ვადაში ექსპლუატაციაში მიიღოს ჰიდროელექტროსადგური.**

**ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 15 წლის განმავლობაში, სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით ელექტროსადგურის სრული ფაქტობრივი გამომუშავების რეალიზაცია განხორციელდება მხოლოდ საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო დანარჩენ თვეებში, კომპანიას შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ, მოახდინოს ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტი.**
















# ვაი, ჩვენი ლიტერატურის ბედო!..

## ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

**ვერავინ დაიჯერებს საქართველოს კულტურის (ძეგლთა დაცვისაც რომ ჰქვია) სამინისტროს საქმიანობის შემხედვარე, რომ საბჭოთა ეპოქა დასრულებულია.**

კვლავ ძველებურად გრძელდება იმჟამინდელი ნორმები და მოთხოვნები – სიცრუის, სიყალბის, უგემოვნობის, შარლატანობის პარპაში, ფარულ გარიგებათა ზეობა და ანტიკულტურის გამოცხადება კულტურად, ანტილიტერატურისა – ლიტერატურად...

და არა მარტო ჩვენს სივრცეში.

დასავლეთისკენაც ამ ფსევდოს, ამ პრიმიტიულს, ამ უბადრუკობას აქვს გზები გაკვალული.

უმეტესწილად, ცხადია!..

შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გამოერევა ღირსეული თხზულება, ისიც მოსაჩვენებლად, რათა მის ჩრდილქვეშ კვლავაც გაგრძელდეს ქართული მწერლობისათვის სახელის გატეხა.

არ დაგიდევენ, რომ: თუნდ აგერ ლონდონის გამომცემლობებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, გადაეღობონ... საქართველოს სახელით მიწვდილ ვაიმწერლობას. მიზეზი კი ისაა, რომ ქართველ „მწერალთა“ წიგნები არ იყიდება, პირწმინდად ჩაუწვათ და ადვილად ველარ აცთუნებ ეგზოტიკურობით, რასაც „საქართველოს“ ხსენება გულისხმობდა.

აღმოჩნდა, რომ იმ წიგნებში ეგზოტიკურობის ნასახიც არ არის, და არც რაიმე მხატვრულისა თუ ლიტერატურულისა.

აბა რა იქნებოდა!..

საქართველოს კულტურის (ძეგლთა დაცვისაც რომ შეურქმევიათ) სამინისტროს სახელით შერჩეულ ავტორებს განა რა საერთო შეიძლება ჰქონოდათ ლიტერატურასთან.

საქმოსნობა დაფასებული საქმიანობაა ჩვენს ქვეყანაში და ასეც უნდა იყოს – თუ რაიმე დააყენებს ფეხზე ჩვენს ეკონომიკას, თუ რაიმე შეუქმნის მყარ საფუძველს ჩვენს პოლიტიკასა და კულტურას, უთუოდ ხელსაყრელი გარემოს შექმნა ბიზნესმენებისათვის, ანუ – კანონების დაცვა. და ამ მხრივ რაღაც-რაღაცები რომ მოსაწესრიგებელია, კანონები შესაფერისად რომ არ არის ამოქმედებული, ეს მხოლოდ აბრკოლებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას.

თუმც ამის თაობაზე – ცალკე.

საქმოსნობა დაფასებული საქმიანობააო...

ოღონდ რამდენადაც სასარგებლო და აუცილებელია ბიზნესმენობა, იმდენად ამაზრზენია ლიტერატურული საქმოსნობა, სულიერების რღვევისათვის მოწოდებული, გარშემო ნიჰილიზმსა და სასოწარკვეთილებას რომ თესავს.

საქართველოს კულტურის (ძეგლთა დაცვაც რომ დავალებია) სამინისტროს რჩეული ავტორების სიის გაცნობა სხვა შთაბეჭდილებას არ დაგიტოვებს:

საბჭოური ეპოქა აქ შენარჩუნებულია და საკმაოდ მტკიცედაც გამოიყურება.

შორს რომ აღარ გავყვეთ და მარტოოდენ იმ სიას ჩავავლოთ თვალი, იმ რჩეულ ხუთეულს, რომელთაც აგერ ახლა დაჰკისრებიათ დიდი მოვალეობა – წარადგინონ ქართული კულტურა ლონდონში, კვლავ გული შეგვეკუმშება.

ისე ეს სია რომც არ გაგაცნოთ, თქვენითაც ივარაუდებთ, რაკიღა ამ ავტორებს ფეხქვეშ გაფენიათ ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე, ყოვლად შეუსაბამო მათი ლიტერატურული უნარისათვის.

ამ ხუთეულიდან ერთადერთს **აკა მორჩილაძეს** ვერ დავწამებთ უნიჭობას, მაგრამ პირველი წარმატებების შემდგომ თანდათან ტიპურ ლიტერატურულ საქმოსნად ჩამოყალიბდა და რომანებად შემოსაღებული მისი ბოლოდროინდელი ნაწერები სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი თავის ძარცვა, გაღრმავება იმ ტენდენციებისა, რომლებიც ზადად და ნაკლად მოჰყვებოდა მის პირველ ცდებსაც, მაგრამ მაშინ თხრობის სიცინცხალე და სილაღე ერთგვარად ფარავდა ნაკლოვანებებს, ამჟამად ეს სიცინცხალეც და სილაღეც სადღაც რომ ჩაკარგულა და გულისგამაწვრილებელ ლოღნად ქცეულა.

ხოლო დანარჩენებთან – **დათო ტურაშვილი** იქნება, **ლაშა ბუღაძე** თუ **ზურაბ ქარუმიძე** – ისე გადახლართვია უნიჭობა ლიტერატურულ საქმოსნობას, შერწყმის ამ ჰარმონიულობით შესაძლოა აღტაცებულნიც დავრჩენილიყავით, მეტად და მეტად საზიანო რომ არ იყოს ქართული მწერლობის პრესტიჟისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, თორემ ჩვენში უკვე შეგვაგუეს.

ამათ ნაწერთა წამკითხველს – თუკი შემთხვევით გამოუჩნდებათ ვინმე ლონდონში – ქართველები ალბათ პაპუასებისაგან არ გავერჩევით!..

**თამთა მელაშვილი,** ეტყობა, გენდერული აუცილებლობით ჩართეს ამ ჯგუფში, ნიჭის ნასახს ნამდვილად რომ ვიპოვნით მის ჟანრობრივად გაურკვეველ ნაწერში, მაგრამ საკითხავია, რა ნიშნით, რა დამსახურებით შეარჩიეს რჩეულთა მეხუთე წევრად მაინცდამაინც იგი და არა, ვთქვათ, მასზე ასი თავით მაღლა მდგომი **ნაირა გელაშვილი** და **მაკა ჯოხაძე**. აღარაფერს ვამბობ ათი და ხუთი თავით მაღლა მდგომებზე, საკმაოდ რომ მოგვეპოვებიან.

წინა მინისტრს მწერალი ერქვა, გურამ ოდიშარიას, და ჩხირი არ გადაუბრუნებია ჩვენი ლიტერატურის სასიკეთოდ (ეტყობა, მთელი ძალ-ღონე ძეგლთა დაცვას მოახმარა), და მწერლობისაგან შორს მდგომ კაცს, მიხეილ გიორგაძეს, ამ მხრივ კიდევ უფრო ნაკლები (თუმც ეს „ნაკლები“ რა არის, აღარც ვიცი!) მოეთხოვება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თვით ასეთი მინისტრების მიღმა წყდება „ლიტერატურულ რჩეულთა“ ბედი და უნიჭობის ის გაპარპაშება, ტიპურ საბჭოურ მწერალთა აჩრდილები შურით რომ შემოგვხედავენ, ჩვენ სად გვქონდა ასეთი დაფასება კომუნისტური პარტიისგანო!..

ვაი და ვაგლახ!..

ამ პუბლიკაციას რაც შეიძლება მოჰყვეს, წინასწარვე ვიცი და დიდი რამ ფუტუროლოგობა არა სჭირდება ამოცნობას: შემოხმიანება კულტურის სამინისტროდან და... შემოთავაზება „რჩეულთა“ მომავალ ჯგუფებში ჩაწერისა.

ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯებიან და ტელეფონით დარეკვის ძალისხმევა ეგებ რაიმე სასარგებლო საქმეს მოახმარონ, სულ პატარას, ერთი ბეწოს, მაგრამ მათგან ესეც ხეირი იქნება.

ამათ საქმიანობის შემყურეს 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა... ზმანება მგონია და, ღმერთმა ნუ ინებოს, მართლა ზმანება იყოს...

ჩვენი თანამედროვე ქართული ლიტერატურა დამცირებასა და აბუჩად აგდებას არ იმსახურებს, საბედნიეროდ, კვლავ გვყავს ისეთი მწერლები, ტოლ-სწორად რომ დადგებიან დასავლეთის (რომელთაც ასე ვებაძებით!) შემოქმედთა გვერდით და... როდემდე შეიძლება, იყოს მინებებული ეს საქვეყნო პროცესი იმ ადამიანებს, რომელთაც, უპირველესად, ორი რამ სძულთ ამქვეყნად: მწერალი და წიგნი!..

ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, იქნებ მე მაინც გამიმხილო ამის პასუხი...



**როსტომ ჩხეიძე**

## რა რეფერენდუმი, რის რეფერენდუმი!

**ჯანდაცვის** მინისტრი მიიჩნევს, რომ ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს კონსტიტუციაში ჩაწერის საკითხს რეფერენდუმის ჩატარება არ სჭირდება.

„მე არ ვიცი, მოსახლეობის რა ნაწილის მოსაზრება იყო რეფერენდუმის გამართვა. ჩემი აზრით, ჩემთვის, პირადად, თავისთავად ცხადია, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის დაკანონებული ურთიერთობა. თუ პარლამენტი ჩათვლის საჭიროდ, რომ ეს იმდენად სადავო და საკამათო საკითხია, რომ რეფერენდუმი სჭირდება, ალბათ, ამას პარლამენტის წევრები შეაფასებენ. ჩემთვის, ეს თავისთავად ცხადი რამ არის და არანაირი რეფერენდუმი ამას არ სჭირდება“, – განაცხადა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან გაკეთებული კომენტარის დროს.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდს ახალი წევრები ჰყავს

**პარლამენტმა** საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 4 წევრის ვაკანტურ ადგილებზე წარდგენილი კანდიდატები დაამტკიცა. 108 ხმით არც ერთის წინააღმდეგ -ხმის მიცემის პროცესი ასე გადანაწილდა. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში სულ 4 ადგილი იყო ვაკანტური, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილმა დეპუტატებმა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრი სულხან სალაძე (104 ხმით) და რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე (108 ხმით) წარადგინეს. სახალხო დამცველმა ვაკანტურ პოზიციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ ხელმძღვანელი ირინა ფუტკარაძე (104 ხმით) დაასახელა. საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატი კი კინოდოკუმენტალისტი – ირაკლი პაპავაა (104 ხმით). ბორდში ოთხი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსი 15 მარტს გამოცხადდა. თავდაპირველად პარლამენტს მეურვეობის 19-მა კანდიდატმა მიმართა. მაგრამ ორ მათგანს კომისიამ კონკურსში მონაწილეობაზე უარი პირობების დაუკმაყოფილებლობის მოტივით უთხრა.

## პეტერბურგელთა „ანა კარენინა“ თბილისის სცენაზე

**15 და 16 აპრილს** მაყურებლის წინაშე სპექტაკლით „ანა კარენინა“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სანკტ-პეტერბურგის ეიფმანის საბალეტო დასი წარდგება. პროექტი ხორციელდება „ხელოვნებისა და კულტურათშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის“ ეგიდით და თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

მსოფლიო ნოვატორმა ქორეოგრაფმა ბორის ეიფმანმა ბალეტი „ანა კარენინა“ პეტრე ჩაიკოვსკის მუსიკაზე 2005 წელს დადგა. ეიფმანის ბალეტის თეატრის რეპერტუარიდან ის ყველაზე მოთხოვნადი დადგმაა. უკვე 10 წელია, იგი უცვლელი წარმატებით იდგმება ამერიკის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის საუკეთესო სცენებზე. ამ სპექტაკლში ბორის ეიფმანი აქცენტს აკეთებს სასიყვარულო სამკუთხედზე „ანა-ვრონსკი-კარენინი“, სასცენო ფსიქოანალიზის ბრწყინვალე ნიმუშს ქმნის და „მთავარი ინსტინქტით“ შეპყრობილი ქალის საშინელი შინაგანი გარდაქმნის ტრაგიკულ ქრონიკას გვიჩვენებს.

ბორის ეიფმანის შემოქმედება 40-ზე მეტ დადგმას ითვლის. განსაკუთრებული პლასტიკური აზროვნების სტილით ეიფმანის დასი დასავლეთის მაყურებელს იპყრობს.




# ახალი ტაძარი მცხეთაში – აკვანი საქართველოს ოსებისთვის

**საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ მცხეთაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. პირველი ღვთისმსახურება მასში ქართულ და ოსურ ენებზე შესრულდება. მშენებლობა ქართველი და ოსი მორწმუნეების სახსრებით ხორციელდება. ახალ ტაძარს ქართულ-ოსურ ეკლესიად ან შერიგების ტაძრად მოიხსენიებენ. მშენებლობა 2015 წელს დაიწყო. ინიციატორად ქართველი მეცენატი ზვიად ჩიტიშვილი გამოვიდა. სამუშაოები მისი პირადი სახსრებითა და მართლმადიდებელი მრევლის შემოწირულობებით წარმოებს. ტაძარი მაისის დასაწყისში გაიხსნება, პირველი ლიტურგია კი 6 მაისს – გიორგობის დღესასწაულზე შესრულდება.**

საძირკველში პირველი ქვის ჩადებაზე მოწვეულები იყვნენ მართლმადიდებლები როგორც ჩრდილოეთ, ისე ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან. როგორც ტაძრის მშენებლობის ინიციატორები აცხადებენ, ის უნდა იქცეს **„მართლმადიდებელ აკვნად სრულიად საქართველოს ოსებისთვის და სამშობლოს კუნძულად ოსებისთვის, რომლებიც ქვეყანაში ჩამოდიან“.**

როგორც საქართველოს ოსური დიასპორის წარმომადგენელმა, ტაძრის ღვთისმსახურმა („Уасмырджийы Аргьуан“) გიორგი სოკუროვმა „эхо Кавказа“-ს განუცხადა, ეს ტაძარი ქართველებისა და ოსების მიერ ერთობლივად შენდება:

**„საქართველოში მოქმედი წმინდა გიორგის სახელობის ყველა ეკლესიიდან აქ თითო ქვა ჩამოიტანეს, მათ ტაძრის გაფორმებისას გამოიყენებენ. კედლები თეთრი ქვით მოპირკეთდება – თეთრი ხომ წმინდა გიორგის ფერია, შიგნით კი ტაძარი მოიხატება. მისი მოპირკეთებისას გამოყენებული იქნება როგორც ქართული, ისე ოსური ეროვნული ორნამენტები. დარწმუნებით შეიძლება, ითქვას, რომ ამ ტაძრის მშენებლობა ეპოქალური მოვლენა გახდება არა მარტო ქართულ, არამედ ოსურ ისტორიაშიც. საქართველოში ხომ ეკლესიებში მსახურება ოსურ ენაზე არასდროს შესრულებულა“.**

ტაძრის მშენებლობა ილია მეორემ აკურთხა, მის წინამძღვრად კი ვლადიკავკაზის მკვიდრი თეიმურაზი (შიოლაშვილი) ხელდასხეს.

**„როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, თავდაპირველად ქართულ-ოსური ტაძრის მშენებლობის იდეას საქართველოში არაერთგვაროვნად შეხვდნენ, თუმცა მართლმადიდებელი მორწმუნეების ძალისხმევით საქმეს წარმატებული გაგრძელება მიეცა. ქვეყნის მაცხოვრებლებს შეახსენეს, რომ ჩრდილოეთ ოსეთში რესტრავრაციის შემდეგ გაიხსნა ჩრდილოეთ კავკასიაში პირველი ქართული ეკლესია – წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, რომელიც ვლადიკავკაზში 1898 წელს აიგო. მსახურება მასში ქართულ ენაზე აღევლინება. ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში ასევე პატივს მიაგებენ ილია მეორის მშობლების ხსოვნას, რომელთაც თავის დროზე ვლადიკავკაზში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მშენებლობას შეუწყვეს ხელი. შემონახულია პატრიარქის მშობლიური სახლიც. ვლადიკავკაზის ბევრი მცხოვრები ღრმა პატივისცემითაა განწყობილი ქართველი კათოლიკოსის მიმართ, მიუხედავად სამხრეთ ოსეთში არსებული საპირისპირო განწყობებისა“,** – აღნიშნა მან.

**კითხვაზე, „ხომ არ ელიან პროექტის ინიციატორები კრიტიკულ რეაქციას სამხრეთ ოსებისგან?“** – გიორგი სოკუროვმა აღნიშნა, რომ მათ პოლიტიკური მიზნები არ ამოძრავებთ: **„რა კრიტიკული შენიშვნები შეიძლება, იყოს ჩვენი მისამართით, როცა ღმერთის ტაძარს ვაშენებთ? არ ვფიქრობ, რომ რომელიმე მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი ამის წინააღმდეგია. აქ არ არის საუბარი ტერიტორიებზე, რაღაც პოლიტიკურ პრეტენზიებზე. ეს მართლმადიდებელი სულების მოძრაობაა, რომლებიც დაყოფილები არიან და ერთმანეთთან წვდომა არა აქვთ“.**

მეცენატი ზვიად ჩიტიშვილი ასევე საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერია, რომელიც წელს ჩამოყალიბდა. ორგანიზაცია მართლმადიდებელი ხალხების – ოსების, აფხაზების, ქართველებისა და რუსების დაახლოებას ისახავს მიზნად.

როგორც ზვიად ჩიტიშვილი ამბობს, „ქართველებმა და ოსებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კონფრონტაცია მცდარი გზაა“. იგი ორი ხალხის მდიდარ კულტურულ და ისტორიულ კავშირებზე ამახვილებს ყურადღებას. 9 აპრილს მისმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ თბილისში „გახსენების, მონანიებისა და შერიგების დღე“ მოაწყო.

**აღდგომისთვის საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩვენი სამშობლო“ საქართველოში მიტოვებული სასაფლაოებისა და სამარხების გაწმენდას აპირებს, რომლებზეც გარდაცვლილთა ნათესავებს უკვე მრავალი წელია, წვდომა აღარ აქვთ – მათ ქვეყანა შეიარაღებული კონფლიქტის წლებში დატოვეს. ქართველი სასულიერო პირები ამ დღეს გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელ პანაშვიდს გადაიხდიან.**

## მოსმენილიც, ნანახიც, ნაფიქრალიც

# ჩინებული პროექტის „წვრილმანი“ ხარვეზები

საზოგადოებრივი მაუწყებლობის ტელეპროექტზე მოგახსენებთ, **„სიტყვების თამაშზე“.**

ამთავითვე აღვნიშნავთ: პროექტის მიმზიდველობას უდავოდ განაპირობებს წამყვანის, პოეტ **რატი ამაღლობელის** პროფესიონალიზმიც. „ც“ ნაწილაკი იმიტომ დავურთეთ, რომ, არსებითად, „სიტყვების თამაში“ იმითაა გამორჩეული, რომ ყბადაღებული შოუ არაა, შემეცნებითი ხასიათის გადაცემაა, მაგრამ გვარიანი სანახაობითიც გახლავთ.

მშობლიური ქართულის პროპაგანდა (მაინც ძველებური შაბლონი მიჯობს ახლანდელ „პიარს“) მშრალი, დიდაქტიკური ტონალობის საუბრებითა და შეგონებებით ჭირს.

როგორც სპექტაკლის წარმატებას, სინამდვილეში, საქებარი რეცენზიებით აჭრელებული პრესა კი არა, გაყიდული ბილეთების რაოდენობა განსაზღვრავს, ასევე „სიტყვების თამაშის“ პოპულარობაზე მეტყველებს მისი ყურებადობა (არც ამ ტერმინზე ამომდის მაინცდამაინც სული, მაგრამ, რას იზამ!): სულ სხვადასხვა ასაკის, განათლების ცენზის, პროფესიისა თუ თანამდებობის ადამიანები მონაწილეობენ მასში. ამასთანავე, ერთი გარემოებაც უთუოდ გასათვალისწინებელია: ეს არაა **„ვის უნდა ოცი ათასი“** და არც – **„ცოდნა ფულია“,** დიდ მოგებას რომ დაეხარბოს ვინმე. მაქსიმუმ სამასი ლარია ფულადი ჯილდო გამარჯვებულისთვის!

რაც შეეხება წამყვანის **რატი ამაღლობელის** პროფესიონალიზმს, ცოდვა რად გვინდა: გარდა იმისა, რომ ფრიად ერუდირებული პიროვნებაა, ოსტატურადაც მიჰყავს გადაცემა, მჭევრმეტყველის უნარსაც ამჟღავნებს და იუმორის ნიჭსაც, რაც ასე იშვიათად გააჩნიათ ქართული ტელეარხების წამყვანთ; მეტყველებს გამოკვეთილად, არ „ყლაპავს“ ბგერებს, არ აყენებს „ჭექა-ქუხილს“. ლამის ყოველ სიტყვას, რომელთაც მონაწილენი ცხრა ასონიშნისგან გამოიყვანენ, უმალვე დაურთავს ხოლმე რომელიმე გამოჩენილი პოეტის სტრიქონს (ზოგჯერ ტაეპსაც და, ხანდახან, მთელ სტროფსაც, – თუ მთლიანად ლექსს არა!), ვთქვათ, „მშვენიერი“: „მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასიის ხედი“... და მისთანანი.

და აი, პირველი უწყინარი კითხვა ბატონ რატის: ოდესმე თუ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ სწორედ თქვენი ასაკის (ვგულისხმობთ მთელს თქვენ თაობას, ანიდან ჰოემდე, ზოგჯერ თქვენზე უმრწემესნიც გახლდნენ ის პოეტები, როდესაც მსგავს შედევრებს ქმნიდნენ და მკითხველიც უმალვე იზეპირებდა! ახლა რა ხდება?!

ხომ გესიამოვნათ (და, რატომაც არა!) როცა ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილე ქალიშვილმა ალალად გითხრათ, რომ ინტერესით კითხულობს ხოლმე თქვენს ლექსებს, ოღონდ, ახლა ვნერვიულობ და ზეპირად ვერ შევძლებო, და თქვენც წააშველეთ, ეგ არც მიფიქრიაო! რატომ? ერთი სტრიქონიც რომ ეთქვა, თქვენთან ერთად, ხომ ჩვენც გვესიამოვნებოდა!..

დაახლოებით თქვენს ასაკში დაწერა **მურმან ლებანიძემ** „გაზაფხული შემოსულა, ლენ, რია-რია გაუმართავთ ჩიტებს, მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს, თეთრი ტილო მომიქსოვე შენ“...

ახლაც რამდენი ითხზვება ვითომ – სატრფიალონი და ვითომ – სამიჯნურონი, მაგრამ ჩაიკითხავ და, არც სულსა და არც – გულს! საქმე, შიგადაშიგ, კურიოზამდეც მისულა.

ამას წინათ, ერთ ახალგაზრდა, მაგრამ „საბას“ ნომინანტობას ხელგამოკრულ პოეტს, მისივე ლექსიდან საგანგებოდ ამოწერილი ტაეპი წავუკითხე, მეტაფორის პრეტენზიის მქონე, და ვკითხე: თუ იცი, ვისი ლექსია-მეთქი. იფიქრა, იფიქრა და თითი მოკაკვა, ვერ გეტყვიო!..



კი ბატონო, ვთქვათ, ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ნაკლებად შეგვწევს დაზეპირების უნარი, მაგრამ თქვენ?! თქვენ ხომ შეგიძლიათ თქვენივე ამქარი რომელიმე პოეტის, რამდენიმე „საბა“ რომ აქვს აქტივში, ლექსი ზეპირად შეახსენოთ ტელემაყურებელს?!

განა არ იზეპირებთ, ვერ გაზეპირებინებთ თავს, იმდენად „თითქოს ლექსია“!

ახლა, ვინძლო, თავი დავიზღვიო და მხოლოდ 21-ეს „მთაწმინდელები“ მოვიშველიო, მავანმა რომ ჩემდამი პრეტენზიები **გულშიაც** არ გაივლოს!

თქვენზე საკმაოდ უმცროსი იყო **მუხრანი,** დედაუნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, რომ ცხრაას სამოცდასამში, **„მოთმინების ფიალა“** დააქუხა და მეორე დღესვე პროკლამაციასავით, ხელიდან ხელში გადადიოდა ტექსტი.

ხოლო, როცა **ოციოდე წლის ანამ, ქართული პოეზიის დედოფლად ხალხისგანვე აღიარებულმა,** მწერალთა კავშირის კლუბში შეკრებილ აუდიტორიას „საერთო რვეულიდან“ – **„ლამის სახლში შემოვიდეს თუთა“** წაუკითხა, ფეხზე წამოჭრილმა მთელმა დარბაზმა ხანგრძლივი ტაშით გამოხატა აღფრთოვანება!

ბოლოს კი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მესამე „მთაწმინდელმა“, ერისა და ბერისაგან ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერშეცნობილმა **ოთარ ჭილაძემ,** ყოველთა ქართველთა სადღეისო სულიერი მდგომარეობა ასე გამოხატა სამშობლოსადმი მიძღვნილ საქრესტომათიო ლექსში: **„შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, გულზე ახლო ხარ და ღმერთზე ზემოთ, ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო დაულეველო სამშობლოვ ჩემო! შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი!“**

ამასობაში კი **„წვრილმანი“ ხარვეზების** დროც დადგა.

ბატონო რატი, თქვენ იმდენად გაწონასწორებული პიროვნება ჩანხართ, არა მგონია, ხისტად შეეგებოთ ამ პატარა შენიშვნებს, რაც, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მშობლიური ენისადმი ქედმოდრეკილი პატივისცემითაა გამოწვეული და არა – ჩასაფრებული კაცის ჟინით.

თქვენი განუყრელი „მაშ ასე“-სი არ იყოს, მაშ ასე!

26 იანვრის გადაცემაში არასწორი ფორმით შემოგვთავაზეთ ზმნა „პირველი შეკითხვა, რომელსაც დაგისმევთ“ ... (?!) რატომ **„დაგისმევთ“** და არა – **„დაგისვამთ“?!**

18 თებერვალს კი განსაზღვრება **„იჩქითად“** ასე განგვიმარტეთ (თამაშის მონაწილეს, მაგრამ ჩვენც) **„იჩქითად ანუ მყისიერად, წამიერად, სწრაფად“.** სინამდვილეში, არის აუცილებლად გასათვალისწინებელი განსხვავება: **„იჩქითად ანუ უეცრად, მოულოდნელად, ანაზდად“ (ქეგლ – ი, გვ. 926).**

4 მარტის გადაცემაში საეჭვოდ ჩაუთვალეთ მონაწილეს სწორ ფორმად არარსებული სიტყვა – **„ფანოლი“.** ჩვენი ვარაუდით, თქვენც და მონაწილემაც, ალბათ, იგულისხმეთ **„ფლანელი“** (იგივე **„ფანელი“**).

მთავარი კი ისაა, რომ ამ შეცდომის წყალობით მოიგო იმ პრეტენდენტმა თამაში და სათანადო თანხაც.

წესით და რიგით, იმდღევანდელი გადაცემა თავისშედეგიანად გასაუქმებელია.

ასევე, 11 მარტის გადაცემაში არასწორი ფორმით შემოგვთავაზეთ ზმნა „ზის“ მრავლობით რიცხვში – **„ზიხართ“ (?!)**

აქ ძალაუნებურად გაგვახსენდა სახელგანთქმული ორატორისა და პოლემისტის, ცხონებული **ბესო ჟღენტის** მოსწრებული სიტყვა, რომლითაც უმალვე ჩააცხრო, გაანელა და გაანეიტრალა საკუთარი შეცდომა: „გააჩუმეთ ის ხალხი, უკან რომ **ზიან** და **ხმაურობენ“** – ო!

გაისუსა აუდიტორია. უცებ ახალგაზრდა კრიტიკოსმა, შემდგომში ტრაგიკულად დაღუპულმა **ნოდარ ჩხეიძემ,** გაბედა და შეუსწორა: **კი არ ზიან, ბატონო ბესო, სხედანო!**

ჟღენტი წამითაც არ დაფიქრებულა, – **ჰო, სხედან და ზიანს გვაყენებენო!**

გვესმის, ბატონო რატი, გითანაგრძნობთ კიდევაც, მეტყველების დროს ვის არ მოსვლია უნებლიე შეცდომა, ეგრეთ წოდებული „ლაფსუს-ლინგვე“, მაგრამ, თუ არ გვიწყენთ, იქნებ კიდევ მეტი გულისყურითა და სიფრთხილით განაგრძოთ ეგ ყოვლად საშური საქმე!

**გიზო ზარნაძე**

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*ნიკოლაი ვლასიკის ჩანაწერები*



სტალინი ხალხთან. 50-იანი წლების პლაკატი

### გამგზავრება ბორჯომში

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჩარკვიანი, პირადად სტალინის მიერ იყო გაფრთხილებული, რომ ჯერ წყალტუბოში დაისვენებდა და მერე იქიდან ბორჯომში ჩავიდოდა. მართალია, ჩარკვიანმა დაარწმუნა, აგარაკი სრულ წესრიგშიაო, მაგრამ, ის იმდენად ხელმიშვებული აღმოჩნდა, რომ ცხოვრება იქ შეუძლებელი იყო. ყველა ოთახი ჭუჭყიანი, წყალმომარაგება მოშლილი, აბაზანები არ მუშაობდა, კარებს საკეტები არ ჰქონდა, არ იყო გასაღებები, არ იყო ურდულები, სამზარეულო საწყობად იყო ქცეული. ორ დღეში, რამდენადაც შეიძლებოდა, ყველაფერი ასე თუ ისე წესრიგში მოვიყვანეთ და მყუდრო, ნორმალური ცხოვრებისთვის ელემენტარული პირობები შევქმენით.

გზა საკმაოდ წესიერ მდგომარეობაში აღმოჩნდა და სურამის უღელტეხილით მშვიდობიანად ჩავედით ბორჯომში.

ბორჯომში ყოფნისას ხშირად გავდიოდით ქალაქის შემოგარენში. სტალინს უყვარდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან გამოლაპარაკება. გადმოვიდოდა მანქანიდან, დაუწყებდა მოხუცებს საუბარს, ჩაისხამდა ბავშვებს მანქანაში, გაასეირნებდა და დაბრუნდებოდა ბოლოს სახლში კმაყოფილი.

ერთხელ სეირნობისას მუხის ულამაზეს ტყეში შევედით. იმის გამო, რომ სტალინს უყვარდა ჰაერზე ჭამა, ჩვენ ყოველთვის თან გვქონდა ჭურჭლით და საჭმლით სავსე ნესესერი. როგორც კი მანქანიდან გადმოვედით და სუფრის გაშლას შევუდექით, დავინახეთ სამხედრო, რომელსაც პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა და პირდაპირ ჩვენკენ მოემართებოდა. ახლოს რომ მოვიდა, გვითხრა, თქვენ ახლა არტსაწყობის ტერიტორიაზე იმყოფებით, სადაც უცხო ადამიანების გაჩერება აკრძალულიაო, მე მას ავუხსენი, რომ ჩვენ აქ სტალინთან ერთად მოვედით და, თუ რაიმე აფეთქების საშიშროება არ არის, გვინდა ცოტა ხანს დავისვენოთ, მართლაც, პოლკოვნიკმა დაგვარწმუნა, რომ აქ არავითარი საშიშროება არ იყო და მშვიდად რომ დაგვესვენა, იქვე ახლოს მდებარე საგუშაგო მოხსნა.

სტალინმა ის მოიპატიჟა, რათა იმასაც ჩვენთან ერთად ესაუზმა. დაიწყო თბილი, უშუალო საუბარი, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. იოსებ ბესარიონის ძემ კავკასიაში თავისი იატაკქვეშა მუშაობის ამბები გაიხსენა, ისაუბრეს პოლიტიკასა და ლიტერატურაზე და დრომ ამასობაში შეუმჩნევლად გაიარა. უკვე ბინდდებოდა. ბოლოს პოლკოვნიკს გამოვემშვიდობეთ და ბორჯომში დავბრუნდით.

### სტალინის ხალხთან დამოკიდებულების შესახებ

მინდა, მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი სტალინის თბილი, მზრუნველი დამოკიდებულების შესახებ ხალხის თანამშრომლებისა და პირადად ჩემს მიმართ.

მახსენდება ოცდაათიან წლებში სტალინისა და მოლოტოვის საუბარი სოჭში სეირნობის დროს. საუბარი ეხებოდა კვირაში ხუთდღიან სამუშაოს. კვირა, როგორც დასვენების დღე, გაუქმებული იყო — ხალხი ხუთ დღეს მუშაობდა და მეექვსე დღეს ისვენებდა. იმის გამო, რომ ყველა დღე სამუშაო იყო, ზოგს კვირის რომელ დღეს უწევდა დასვენება და ზოგს რომელ დღეს. ამაზე მოლოტოვმა, გავიგე, ხალხი ხუთდღიანით თურმე უკმაყოფილოა, ვინაიდან, ოჯახის წევრებს და მეგობრებს არ შეუძლიათ ერთმანეთს შეხვდნენ და დასვენების დღე ერთად გაატარონო.

სტალინმა მოუსმინა და მაშინვე უპასუხა:

— რახან ხალხი უკმაყოფილოა, უნდა შევცვალოთ ხუთდღიანი და საერთო დასვენების დღეზე გადავიდეთ, ხოლო ხალხს ეს გადაწყვეტილება პრესის საშუალებით ვაცნობოთ.

მალე გადაწყვეტილება მიღებული იქნა.

მოლოტოვი ამ დროს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო...

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს:

სოჭში ყოფნისას იოსებ ბესარიონის ძემ მაცესტის აბაზანების დათვალიერება გადაწყვიტა. იმ შენობაში რომ შევედით, სადაც ავადმყოფები აბაზანებს იღებდნენ, ნახა, რომ ონკანიდან აბაზანაში შავი ფერის ჭუჭყიანი წყალი ჩადიოდა, რაზეც ძალიან აღშფოთდა და როგორც კი სახლში მივიდა, მაშინვე პროფესორი ვალიადინსკი გამოიძახა (მაშინ ის კურორტის მდგომარეობაზე იყო პასუხისმგებელი) და ჰკითხა: „ნუთუ არ შეგიძლიათ, აბაზანებში სუფთა წყალი ჩადიოდეს. ავადმყოფები რატომ უნდა ღებულობდნენ ასეთი ჭუჭყიანი წყლის აბაზანებს? რაც კი შესაძლებელია, ყველაფერი გააკეთეთ, რათა აბაზანებში სუფთა წყალი იყოსო.

მართლაც, ამ საუბრის შემდეგ ყველა ზომა იქნა მიღებული და მაცესტის აბაზანებში სუფთა წყალმა იწყო დენა.

სტალინი ასევე დაინტერესდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მდგომარეობით. თვალყურს ადევნებდა, რათა ლამაზად და ხარისხიანად ეშენებინათ, რათა სახლებს კი არ დაემახინჯებინა ქალაქი, არამედ გაელამაზებინა, რათა ხალხს ნათელი, მყუდრო და მოხერხებული ბინები მიეღო... ომის დამთავრების შემდეგ ყურადღებით ადევნებდა თვალს — პროდუქტებზე ფასს თავის დროსა და რეგულარულად რომ დაეკლო, ხოლო იმ სამხედრო მეთაურებს, რომლებმაც ომში მონაწილეობა მიიღეს, აგარაკი თავიანთთვის შეღავათიან ფასებში აეშენებინათ.

### დამოკიდებულება თანამშრომლებთან

თანამშრომლების მიმართ თბილი დამოკიდებულების შესახებ ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან. ერთხელ, ზაფხულში, ერთ თანამშრომელთაგანს, რომელიც იცავდა ამ აგარაკის ტერიტორიას, სადაც სტალინი ისვენებდა, პოსტზე ჩაეძინა. მის გასამართლებლად უნდა შევნიშნო, რომ დაცვაში სულ ცხრა თანამშრომელი მყავდა, მაშინ როცა ტერიტორია ძალიან დიდი იყო, თან სულ ბარდი და რაყა ჰქონდა მოდებული და ცხადია, იღლებოდნენ. ეს რომ სტალინს მოახსენეს, გამომიძახა და მკითხა, რა ზომები იქნა მიღებული იმ თანამშრომლის მიმართ, რაზეც ვუპასუხე, რომ მის მოხსნას და მოსკოვში გაგზავნას ვაპირებდი.

სტალინი დაინტერესდა, იმ თანამშრომელმა, პოსტზე რომ ჩაეძინა, აღიარა თუ არა. ვუპასუხე რომ აღიარა.

— ჰოდა, რახან აღიარა, ნუ დასჯი, გაუშვი, იმუშაოს, — მითხრა იოსებ ბესარიონის ძემ.

ამის შემდეგ თანამშრომლებთან საუბარი ჩავატარე, გავზარდე დაცვა და ამით იმ ადამიანებს ნორმალურად მუშაობის საშუალება მიეცათ.

ის, თუ რამდენად მზრუნველი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს მიმართ, ამაზე ერთი ასეთი ფაქტიც მეტყველებს:

1947 წელს, როცა სტალინი ყირიმში ისვენებდა, გამომიძახა და მითხრა, სტუმრად გოტვალდების ოჯახი ჩამოდის, სულ ექვსი ადამიანი, საჭიროა მათი საცხოვრებლით, კვებით და მომსახურებით უზრუნველყოფა, ამიტომაც, ეს აგარაკი უნდა დავცალოთ და რომელიმე თავისუფალ აგარაკზე გადავიდეთო.

საღამოს, როგორც ყოველთვის, სტალინსა და პოსკრებიშევთან ერთად ვივახშმე. იოსებ ბესარიონის ძე ბევრს ხუმრობდა, ახსენებდა თავის წარსულს, მოგვიყვა გადასახლებისას თავისი ცხოვრების შესახებ ტურუხანის მხარეში.

ბელადის საზოგადოებაში გატარებული ის საათები სამუდამოდ დამრჩება მეხსიერებაში, როგორც ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო საათები. მასთან თავს ყოველთვის უშუალოდ და თავისუფლად გრძნობდი — ასე ის თვითონ განგაწყობდა.

ვახშმად ძალიან გვიან დავსხედით და ნაცვლად იმისა, ვახშმის შემდეგ დავწოლილიყავით და დაგვეძინა, გადავწყვიტეთ, სხვა აგარაკზე გადასასვლელად მზადება მაშინვე დაგვეწყო. მართლაც, გავაღვიძე მძღოლები და წავედით ლივადიაში.

ლივადიაში რომ მივედით, სტალინმა გვიბრძანა, ვერანდაზე სუფრა გაგვეშალა და დაცვის ის თანამშრომლები და მძღოლები მოგვეპატიჟა, რომლებიც მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ. საუზმემ თბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. იმის გამო, რომ მთელი ის ღამე არ გვეძინია, სტალინი და პოსკრებიშევი საუზმის შემდეგ დასასვენებლად წავიდნენ, მაგრამ მე ისევ საქმე გამომიჩნდა. გარდა ამისა, ისე ვიყავი ბელადთან საუბრის გამო აღელვებული, რომ თვალის დახუჭვაც არ მინდოდა.

ორიოდე საათის წაძინების შემდეგ სტალინმა მანქანა მოითხოვა, რათა იმ აგარაკის დასათვალიერებლად წამოსულიყო, სადაც სტუმრებს უნდა ეცხოვრა.

მასთან რომ მივედი, შემატყო, ძალიან დაღლილი ვიყავი და რომ გაიგო, მთელი ის ღამე არ მიძინია, უფლება არ მომცა მასთან ერთად წავსულიყავი, მაგრამ დაძინებით მაინც ვერ დავიძინე, ჩავჯექი მანქანაში და უკან გავყევი. სახლში რომ დაბრუნდა, სტალინმა რამდენჯერმე იკითხა, მეძინა თუ არა? მხოლოდ მეორე დღეს გამომიძახა და ხომ კარგად გამოიძინეო? — მკითხა. მე ბოდიში მოვუხადე. სტალინმა გაიცინა... დიახ, მე მასში ყველაზე ძვირფას, ყველაზე უახლოეს ადამიანს ვხედავდი...

ჩემი ოცდახუთწლიანი მუშაობის განმავლობაში, ცხადია, იყო შეცდომებიც და იყო მარცხიც, მაგრამ ხედავდა რა ჩემს გულწრფელ, მოუსყიდველ ერთგულებას და ჩემს დიდ სურვილს, გამემართლებინა მისი ნდობა, ის დიდი გულისხმიერებითა და ტაქტით, რა გულისხმიერებითა და ტაქტითაც უდგებოდა ყველაფერს, ბევრი რამ მაპატია.

### ჩკალოვი

სტალინი უხეში და მკაცრი კი არა, ადამიანების მიმართ ფრთხილი და ყურადღებიანი იყო. ყველასთვის კარგად არის ცნობილი მისი თბილი, მამობრივი დამოკიდებულება სახელგანთქმული მფრინავის — ვ.პ. ჩკალოვისადმი. მახსოვს, ჩკალოვისთვის ნათქვამი მისი სიტყვები: „თქვენი სიცოცხლე ჩვენთვის ყოველგვარ მანქანაზე ძვირფასია“. სიტყვები გულის სიღრმემდე რომ ჩასწვდა და ააღელვა ის მამაცი, გარეგნულად მოუხეშავი მფრინავი. ის, თუ როგორ ზრუნავდა თითოეულ მის გაფრენაზე სტალინი, ყველას კარგად გვახსოვს.

მოსკოვ-პეტროპავლოვსკ-კამჩატკის დაუჯდომელი გადაფრენა, როგორც ჩრდილოეთ პოლუსიდან ამერიკაში უმაგალითო გადაფრენის პირველი მოსამზადებელი ეტაპი, ჩკალოვს სტალინმა უკარნახა. სტალინი ღელავდა, ჩკალოვს არწმუნებდა, არ ეჩქარა პოლუსიდან გაფრენა, ვინაიდან ეს ძალიან საშიშად მიაჩნდა. ურჩევდა, გულდასმით შეემოწმებინა თვითმფრინავის თითოეული დეტალი, დაკვირვებოდა, როგორი იყო მისი მატერიალური გამართულობა, რათა ის შორეული ფრენა რაღაც დონეზე უსაფრთხო ყოფილიყო. ჩკალოვი სტალინის ამ ზრუნვას და ყურადღებას დიდი მგზნებარე სიყვარულით უპასუხებდა.

მახსენდება, კრემლის გიორგიევსკის დარბაზში ჩრდილოეთ პოლუსზე გადაფრენის შემდეგ, ამერიკიდან ეკიპაჟის დაბრუნების აღსანიშნავ მიღებაზე, ჩკალოვმა მკერდზე გიმნასტურა როგორ გადიღეღა და როგორ შესძახა —„ამხანაგო სტალინ, არა მხოლოდ სიცოცხლეს, არამედ მთელ გულს გიძღვნითო!“

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-69



სტალინი და ლეგენდარული ჩკალოვი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**სოხუმში, საზოგადოებრივ პალატაში გაიმართა ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა. ოპოზიციას წარმოადგენდნენ ასლან ბჟანია, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების „აპრას“ ფონდის ხელმძღვანელი, და პოლიტიკური პარტიის „ამცახარას“ წარმომადგენლები ჰარი სამანბა და ვიქტორ ტვანბა. მოქმედი ხელისუფლებიდან იყვნენ ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია და უშიშროების საბჭოს მდივანი მუჰამედ კილბა.**



# სოხუმი: დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ გამოვიდა

საზოგადოებრივი პალატის მდივანმა ნათელა აკაბამ შეხვედრის წინ გამოთქვა იმედი, რომ შედგება დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. მაგრამ დიალოგი არ გამოვიდა, ოპოზიციამ დაიწყო ბრალდებებით და „დიალოგი“ დაამთავრა ხელისუფლების წარმომადგენელთა შეურაცხყოფით და ეს მაშინ როდესაც მთავარი გზავნილი რითაც საზოგადოებრივ პალატაში მოვიდნენ ასლან ბჟანია და მისი კოლეგები ოპოზიციიდან გარი სამანბა და ვიქტორ ტვანბა, ჩამოყალიბებული იყო ბჟანიას მიერ როგორც აუცილებლობა — მიელწიათ ხალხის გაერთიანებისათვის, მთავარი პრეტენზია კი მოქმედი პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას მიმართ, მისი სიტყვებით, იყო ის, რომ მან არანაირი ნაბიჯები არ გადადგა ხალხის გაერთიანებისათვის.

თუმცა, დავიწყოთ რიგით... ასლან ბჟანიამ დაიწყო იმით, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის გამართვისათვის პრეზიდენტის ნდობის შესახებ, რეფერენდუმის მოწყობის მოწინააღმდეგეები საუბრობენ იმის შესახებ რომ ამისათვის არ არის სერიოზული საფუძვლები, მაგრამ ბჟანია ამას არ ეთანხმება. მას მიაჩნია, რომ მკვეთრი მიზეზები არის, მხოლოდ მთავარი ასე გამოხატა:

**„ხელისუფლებამ, კერძოდ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა უკან დაიხიეს ყველაზე მთავარი რამიდან — მათ არანაირი ზომები არ მიიღეს იმისათვის, რომ გადაეწყვიტათ მთავარი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ხალხის ერთიანობასთან. 22 აგვისტოს ხელი მოეწერა დოკუმენტს — შეთანხმებას ეროვნული ერთიანობის მიღწევის ზომების შესახებ. ეს შეეხება არა ზომებს ასლან ბჟანიას, ალხას კვიცინიას და ა.შ. შრომითი მოწყობის შესახებ. ეს არის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ დაწყებულიყო ეროვნული ერთიანობის პროცესი. ეს დოკუმენტი უგულებელყვეს. მინდოდა, მიმეცა შეკითხვა დამსწრეთათვის: რატომ მოხდა ეს? ვინ შეინარჩუნებს ჩვენი პრეზიდენტის ხელმოწერის ღირსებას“?**

„ბჟანია საუბრობდა იმის შესახებ, რომ გაუარესდა ეკონომიკური სიტუაცია, ბიუჯეტი კი ჩაიშალა, იგი ვერ გადაარჩინა იმ გადასახადებმაც, რომლებიც მთავრობამ შემოიღო. ოპოზიციას ხელს არ აძლევს საქმის მდგომარეობა სამართალდაცვის ორგანოებში, არ არის დაპირებული რეფორმა. კორუფციასთან რეალური ბრძოლა არ მიმდინარეობს, ხოლო კორუფციის შესახებ მიღებული კანონი არ მოქმედებს, ვინაიდან არ არის მიღებული აუცილებელი კანონსდაქვემდებარებული აქტები. მას დიდად აღელვებს, რომ გაუარესდა ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან. მან შეგვახსენა იმის შესახებ, რომ ექს-პრეზიდენტი ანქვაბი აკრიტიკებდა პრეზიდენტის გაბერილ სარეზერვო ფონდს, ახლა კი იგი 100 მილიონი რუბლიდან 350 მილიონ რუბლამდე გაიზარდა.

როდესაც ასლან ბჟანიას უპასუხებდა, ვიცე პრეზიდენტმა ვიტალი გაბნიამ შეგვახსენა იმის შესახებ, რომ არის აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელშიც ჩამოთვლილია საფუძვლები პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნებისათვის, და მათ შორის არ არის რეფერენდუმი, მათ შორის თუ ქვეყნის მოქალაქეები რეფერენდუმზე გამოთქვამენ აზრს პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ, ეს არ შეიძლება იყოს საფუძველი მათი დანიშვნისათვის.

როდესაც უპასუხებდა ბრალდებას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაუარესების შესახებ, ვიტალი გაბნიამ თქვა:

**„თავდაპირველად საკითხი შეეხებოდა იმას, რომ ჩვენ, როდესაც ხელს ვაწერდით შეთანხმებას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, ვთმობთ ქვეყნის ინტერესებს. ეს შეთანხმება ემყარებოდა იმ შეთანხმებებს, რომლებიც ადრე იყო ხელმოწერილი. და ჩვენ გავოგნდით, როდესაც დავინახეთ, რამდენი კანონი ჩუმად იქნა ჩაბარებული, და თქვენი ხელმოწერა იქ არაა. შემდეგ თქვენ ლაპარაკობდით, იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დავთმოთ თუ არა ინტერესები საბაზო შეთანხმებაში, უწყებათაშორის შეთანხმებაში მაინც, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ...**

ჩვენ გავაუარესეთ აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობა, ვინაიდან საშინაო სუვერენიტეტის ნაწილში დათმობაზე არ წავსულვართ, ჩვენ ასეთი შესაძლებლობა პრინციპულად არც გვქონია. და თქვენ ახლა ბრალს გვდებთ, რომ გავაუარესეთ ურთიერთობანი, ჩვენ ვიცავდით ქვეყნის საშინაო სუვერენიტეტს“.

გაბუნია ცდილობს, მიიღოს პასუხი შეკითხვაზე: რა არის ხალხის გაერთიანების იდეა, რის შესახებაც ბჟანია ლაპარაკობს. პრეზიდენტობის ოთხი კანდიდატიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს მათ მიერ ნახსენებ შეთანხმებას ეროვნული უშიშროების მიღწევის ზომების შესახებ, ორი მოქმედი პრეზიდენტის გუნდში მუშაობს.

გაბნიამ შეგვახსენა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ხაჯიმბამ თავისი ბრძანებულებით განაცხადა საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ პრეზიდენტთან, სადაც მოწვეული იყვნენ ყველა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები, მაგრამ ბჟანიამ მის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

საუბარი თანდათან გადავიდა 2014 წლის 27 მაისის მოვლენებზე. ასლან ბჟანიამ მათ „სახელმწიფო გადატრიალება“ უწოდა და განაცხადა, რომ ოპოზიცია მიმართავს პროკურატურას მოთხოვნით — შეაფასოს ისინი, მაგრამ არანაირი მოქმედება მაუწყებლის მხრიდან მათ ვერ დაინახეს.

ვიტალი გაბნია კი დაინტერესდა, რატომ თავად ასლან ბჟანია ამ მოვლენათა შემდეგ არ გადადგა. პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე 2 თვის განმავლობაში, როდესაც იგი კანდიდატობაზე აცხადებდა პრეტენზიას, რჩებოდა თავის სამუშაო ადგილზე და მუშაობდა გუნდში, რომელმაც „სახელმწიფო გადატრიალება“ მოაწყო?

ურთიერთობათა გარკვევა გაჭიანურდა. ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებრივი პალატის წევრმა სოკრატ ჯინჯოლიამ წამოაყენა წინადადება, გააგრძელონ შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ორ-ორი წარმომადგენელი ყოველი მხრიდან და ზუსტად განისაზღვრება თემა, რათა ყველამ შეძლოს, გამოთქვას თავისი აზრი და გამოიტანოს რაიმე კონკრეტული წინადადება. ამას ყველა დაეთანხმა.

**ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომლებსაც იყენებენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში.**

Эхо Кавказа

## დედამიწის ზურგზე



### თურქეთის პროვოკაციის პასუხად საბერძნეთის არმია საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს

**უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში თურქეთის სამხედრო თვითმფრინავები ყოველდღე დაფრინავდნენ საბერძნეთის კუნძულების თავზე ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ათენმა ეს შეაფასა, როგორც სახიფათო პროვოკაცია.**

### უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა პროტესტი ყირიმელი თათრების მეჯლისის მუშაობის შეჩერებასთან დაკავშირებით

**უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ მეჯლისის აკრძალვით რუსულმა მხარემ დაარღვია საერთაშორისო სამართალი, აგრეთვე კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ. დიპლომატიურ მისიაში მოითხოვეს, შეწყვიტონ „კუნძულზე ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივი დარღვევები“.**

### რადამ გადააყენა იაცენიუკი და პრემიერად გროისმანი დანიშნა

**კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის ახლადდანიშნულმა მეთაურმა ახლა რადაში უნდა შეიტანოს წინადადებები თავისი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის შესახებ, რომლებიც უნდა დაამტკიცონ სახალხო დეპუტატებმა.**

### მაღალი ტექნიკის წყალქვეშა რობოტმა ლოხ-ნესის ტბის ფსკერზე ლეგენდარული ურჩხულის ფიტული აღმოაჩინა

**გამოსახულებებზე, რომლებიც მიიღეს უპილოტო წყალ-**



**ქვეშა აპარატის დახმარებით, მოჩანდა რომ ფორმა, ზომები და განთავსება უცნაური ობიექტისა მთლიანად შეესაბამება ურჩხულის აღწერას, რაც ცნობილი იყო VI საუკუნიდან. აღმოჩნდა, რომ საკითხი შეეხება მონსტრს, რომელიც გადაიღეს ფილმში „შერლოკ ჰოლმსის კერძო ცხოვრება“.**

### სტამბოლში ერთ-ერთი დაკავებული „რუსი ჯაშუში“ ჩეჩენი კილერი აღმოჩნდა - ამტკიცებს „როსბალტი“

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ადრე ამტკიცებდნენ, რომ დააკავეს იური ანისიმოვი და ალექსანდრ სმირნოვი. „როსბალტი“ ამტკიცებს, რომ დოკუმენტებით გვარ სმირნოვით სარგებლობდა ვალიდ ლურახმაევი, რომელიც ასევე ცნობილია ზედმეტსახელით ვალიდოლი. მას ბრალად ედება მრავალი მკვლელობა.**

### ნიდერლანდი იწყებს კონსულტაციებს ევროკავშირის წევრებთან უკრაინასთან ასოციაციის შეთანხმების ცვლილების შესახებ

**შესაბამისი განკარგულება პარლამენტში დებატების შედეგების შესახებ გასცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მარკ რიუტემ. ოპოზიცია წინააღმდეგი გამოვიდა, შესთავაზა, თქვან უარი შეთანხმების რატიფიკაციაზე.**

### სამხრეთი კორეის მმართველმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები წააგო

**პარტია „სენურის“ წარმომადგენლებმა პირველად 16 წლის განმავლობაში დაკარგეს ეროვნულ კრებაში მანდატების საკონტროლო რიცხვი და 300 ადგილიდან მხოლოდ 122 მიიღეს. მთავარმა ოპოზიციურმა დემოკრატიულმა პარტიამ „ტაბურომ“ მოიპოვა 123 ადგილი პარლამენტში. სახალხო პარტიამ — 38, სამართლიანობის პარტიამ — 6, დამოუკიდებელმა დეპუტატებმა — 11.**



კალათბურთი



# მოზაიკა

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინიშამდე ორი ტურია დარჩენილი, პლეი-ოფის მონაწილეთა კვარტეტიც გამოიკვეთა, მაგრამ ინტრიგა არ მომკვდარა – გუნდები ცდილობენ რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავონ, რათა სუპერლიგის ნახევარფინალში საკუთარი დარბაზის უპირატესობა მოიპოვონ.**

ამ მხრივ თბილისის „დინამოსა“ და „სოხუმის“ გუშინდელი მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ნერვების ომში კოვაჩევიჩის (26 ქულა) ძალისხმევით მასპინძლებმა 67:62 გაიმარჯვეს და რეგულარული სეზონის წამყვან პოზიციაზე დასრულების შანსი შეინარჩუნეს.

რაც შეეხება ზღვისპირელებს, მილერის (23 ქულა) ლაღი თამაშის მიუხედავად, მთელი შეხვედრა მდევრის როლში გაატარეს და საწადელს მაინც ვერ მიაღწიეს. ისინი გარკვეულწილად ეროვნული ნაკრების წევრმა ფაცაციამ დაალალატა, რომელმაც მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა.

**„ოლიმპი“ – „ქუთაისი“ 77:103.**

**დღეს ითამაშებენ:** „რუსთავი“ – „მგზავრები“, „ბათუმი“ – „აკადემია“.

**სატურნირო მდგომარეობა 26 ტურის შემდეგ:** „ქუთაისი“, „ბათუმი“ – 17-17, „დინამო“ – 16, „სოხუმი“ – 14, „მგზავრები“, „რუსთავი“ – 12-12, „ოლიმპი“ – 9, „აკადემია“ – 5 მოგება.

* * *

**ნბა-ს რეგულარული სეზონი ახალი რეკორდით დასრულდა: „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ შინ „მემფისი“ დაამარცხა – 125:104 და**




**82 შეხვედრიდან 73-ის მოგებით ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის ეპოქის „ჩიკაგო ბულზის“ მიღწევა დაამხო (72 გამარჯვება).**

გუშინვე პროფესიულ კალათბურთს კარის ხმაურიანი გაჯახუნებით გამოეთხოვა „ლეიკერზის“ სწორუპოვარი ლიდერი კობი ბრაიანტი, რომელმაც „იუტასთან“ სადესერტო სპექტაკლში (101:96) 60 ქულას(!) მოუყარა თავი.

რაც შეეხება „დალასს“, შინ „სან ანტონიოსთან“ წაგებულ მატჩში ზაზა ფაჩულიას მცირედი დააკლდა ორმაგ დუბლამდე: 8 ქულა და 12 მოხსნა.

პლეი-ოფები 16 აპრილს დაიწყება. ტეხასელთა მეტოქე „ოკლაჰომა“ იქნება, რომელთანაც რეგულარულ სეზონში ოთხივე ბრძოლა წააგეს.

* * *

**დაიწყო ევროლიგის მეოთხედფინალური პლეი-ოფების სერია (3 მოგებამდე) გაუწყებთ სასტარტო მატჩების შედეგებს:** ცსკა – „ცრვენა ზვეზდა“ 84:74, „ფენერბახჩე“ – „რეალი“ 75:69, „ყუბანი“ – „ბარსელონა“ 66:61, „კუჩა ლაბორალი“ – „პანათინაიკოსი“ 84:68.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ლოგიკური კრახი

**ჯერაც არ გაციებულიყო ლეგენდარული იოჰან კრუიფის ცხედარი, რომ კატალონიური გრანდის ერთმა თავგადაკლულმა ქომაგმა თავის „სასტავთან“ პროგნოზი გამოთქვა: აწი ნახეთ „ბარსელონას“ კრიზისიო.**

ვერ გეტყვით, „ბლაუგრანას“ ქართველი ფანი ვანგას მემკვიდრეა თუ უბრალოდ წაილადავა, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ: ფეხბურთის ჰოლანდიელი მშვენების გარდაცვალების შემდეგ ლუის ენრიკეს გუნდი ზედიზედ კარგავს ქულებს და, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას ვინლა ჩივის, შეიძლება სეზონი საერთოდ უტიტულოდ დაამთავროს – მოგეხსენებათ, პრიმერაში მადრიდელმა მდევრებმა მასთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს, „კოპა დელ რეის“ ფინალში კი აღიარებულ სათასო მებრძოლთან – ბილბაოს „ატლეტიკთან“ ჯახი კაცმა არ იცის, როგორ დასრულდება.



**„ატლეტიკო“ – „ბარსელონა“ 2:0**
**(პირველი მატჩი 1:2)**
**გოლები:** გრიზმანი (2).

შეგახსენებთ, რომ „ნოუ კამპის“ ბინადრებს ანალოგიური ჩავარდნა ხოსეპ გრვადიოლას მწვრთნელობის დროსაც მოუვიდათ, როცა ძლევამოსილი სვლა რამდენიმე ფრონტზე ჩაფლავებულმა ფინიშმა შეცვალა. ასე რომ, კიდევ ერთხელ დადასტურდა: მთელი სეზონის უმაღლეს დონეზე გავლა უაღრესად ძნელია და საკუთარ შეგირდთა შესაძლებლობების გათვლისას ხანდახან „იაღლიშები“ ისეთ კვალიფიციურ სპეციალისტებსაც მოსდით, როგორიც ზემოთ უკვე დასახელებული თავკაცები არიან.

რაც შეეხება დიეგო სიმეონეს, მან უკვე მეორედ დაამარცხა მრისხანე მეტოქე, ამჯერადაც ნახევარფინალში, თანაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავმოყვარე არგენტინელმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ კოლეგა უპრინციპულეს დუელში დაამარცხა – ტაქტიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. ასე რომ, ტრადიცია შენარჩუნდა – ლიგას ზედიზედ მეორედ ვერც წლეულს მოიგებენ.

**„ბენფიკა“ – „ბაიერნი“ 2:2**
**(0:1)**
**გოლები:** ხიმენესი, ტალისკა; ვიდალი, მიულერი.

**ნახევარფინალისტთა კენჭისყრა დღეს 13 საათსა და 30 წუთზე დაიწყება (რეპორტაჟი – I არხზე).**

**გიორგი შოთაძე**

ახალ ამპლუაში

# გიორგი ნიჟარაძე სამეურვეო საბჭოს წევრია

**საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად დაამტკიცეს.**




ოთხი ვაკანტური ადგილის დაკავების სურვილი 19-მა კანდიდატმა გამოთქვა, რომელთაგან ორს პირობების დაუკმაყოფილებლობის მოტივით უარი ეთქვა. დანარჩენმა 17-მა კანდიდატმა კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ოთხი შეირჩა. ამ ოთხს შორის ერთ-ერთი იყო ნიჟარაძე, რომელმაც პარლამენტში ყველაზე მეტი, 108 ხმა მიიღო.

გიორგი ნიჟარაძე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი რვა წლის განმავლობაში იყო (2008-2016). ის მესამე ვადითაც აპირებდა კენჭისყრას, მაგრამ მიზეზთა გამო საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, მოგვიანებით კი სრკ-ს პრეზიდენტად გოჩა სვანიძე აირჩიეს.

**კობა კობახიძე**

მორალი მორალია!

# ბენზემას წითელი აუნთეს

**გადაწყდა – ქარიმ ბენზემა დამდეგ ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს. ამის შესახებ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი იტყობინება.**

„საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია გაუწყებთ, რომ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე ქარიმ ბენზემა ნაკრებში არ იქნება. აღნიშნული გადაწყვეტილება ფედერაციამ მთავარ მწვრთნელ დიდიე დეშამთან შეთანხმების საფუძველზე მიიღო. ჩვენ გვქონდა შესაბამისი მტკიცებულებები, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიგვეღო. დეშამი დაგვეთანხმა, რომ ფეხბურთელების შერჩევა ხდება არა მხოლოდ სპორტული, არამედ ცხოვრებისეული კრიტერიუმებით. შედეგად, გადავწყვიტეთ, რომ ბენზემა ევრო 2016-ზე ვერ ითამაშებს“, – წერს „მამლების“ ვებგვერდი.



თავის მხრივ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მცირე კომენტარი მადრიდის „რეალის“ ფორვარდმაც გააკეთა:

„ჩემთვის და ყველას სამწუხაროდ, არ ვიქნები ეროვნულ ნაკრებში, ჩვენს საშინაო ევროპის ჩემპიონატზე, საფრანგეთში“, – თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ ბენზემა ნაკრებიდან ჯერ კიდევ გასულ წელს მატიე ვალბუენასთან დაკავშირებული ინტიმური სკანდალის გამო მოკვეთეს და მას შემდგომ გადაწყვეტილი არ იყო, ითამაშებდა თუ არა იგი სამშობლოში გასამართ ევროფორუმზე.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# პატრიოტი კევე მარი

**შოკოლადივით გემრიელი და მზესავით მცხუნვარე სენეგალელი მოდელი კევე მარი, მიუხედავად იმისა, რომ მთელს მსოფლიოს არტყამს წრეებს და თავის იმიჯს სულ დაფითა და ზურნით ავრცელებს, სენეგალს მაინც ვერ ღალატობს და თავის ბეჩავ სამშობლოს მუდამ გვერდში უდგას.**



კევე მარის ხშირად ნახავთ სხვადასხვა სპორტული ასპარეზობის დროს გულშემატკივართა შორის ჩამჯდარს. მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შეჯიბრება სპორტის რომელ სახეობაში იმართება და რამდენად ძლიერი მოწინააღმდეგეები ეყოლება მის თანამემამულეებს. კევე ყველას ერთგულად ქომაგობს.

ამ ბოლო დროს აფრიკელი ლამაზმანები მთელს მსოფლიოში ნამეტნავად მოდურები გახდნენ და შავგვრემანი შხვართი ასულები არაერთი ქვეყნის პოდიუმების ფიცარნაგებს იპყრობენ. ამ მხრივ სენეგალელი კევე მარი სხვებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება და კაცმა რომ თქვას, ასეთი მშვენიერი აღნაგობის მქონე გოგონასგან ეს გასაკვირი სულაც არაა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ კონტროლი

# ვითომ მართლაც არ არის საგანგაშო?

## ერთ თვეში საწვავის შემოწმება იწყება

**ერთ თვეში საქართველოში ბენზინისა და დიზელის ხარისხობრივი კონტროლი დაიწყება. გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯებს აიღებენ და მას ლაბორატორიულ ანალიზს ჩაუტარებენ. შესაბამისი სანქცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უკვე შევიდა. საწვავის ხარისხს სამი უწყება — გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახური, ენერგეტიკის სამინისტრო და შემოსავლების სამსახური მაისიდან გააკონტროლებს.**



როგორც გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურის მთავარმა ინსპექტორმა ნელი კორკოტაძემ განაცხადა, დადგენილია ნორმები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი 8 000 ლარით დაჯარიმდება. რეალიზატორებისა და ნავთობიმპორტიორი კომპანიებისთვის ხარისხის დადგენილი ნორმები უკვე ცნობილია.

ბიზნესოპერატორები დაჯარიმდებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი საქართველოს დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება. საუბარია ნავთობპროდუქტში ტყვიის, ბენზოლის, გოგირდისა და სხვა ნივთიერებების განსაზღვრულ მოცულობებზე, რომელსაც არ უნდა აჭარბდებდეს სარეალიზაციოდ გამოტანილი საწვავი.

ამ დრომდე ქვეყანაში საწვავს არც ერთი უწყება არ აკონტროლებდა და პროდუქციის შემოწმება თავად ნავთობიმპორტიორების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამ დროს გაჩნდა ინფორმაცია, რომ საცალო ქსელში უხარისხო პროდუქტი გამოჩნდა. პარალელურად კი საქართველოს დედაქალაში ეკოლოგიური მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს გასცდა.

ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის ინფორმაციით, სახელმწიფო ისეთი ღონისძიებების გატარებას გეგმავს, რომელიც ბიზნესის განვითარებასა და წახალისებაზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობიც.

**„საბოლოო ჯამში ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დაცული იქნას გარემო, მომხმარებელი და კეთილსინდისიერი მეწარმე. ჩვენ გვაქვს მთავრობის დადგენილება საწვავის ხარისხობრივი ნორმების შესახებ, რომლითაც დადგენილია გოგირდისთვის დასაშვები ზღვარი. ჩვენს შემთხვევაში ეს არის 200 ერთეული, რაც 2016 წლიდან კიდევ უფრო მეტად გამკაცრდა — 200 ერთეული 150-მდე ჩამოვიდა. როდესაც ვსაუბრობთ უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქციაზე, ვგულისხმობთ ისეთ საწვავს, რომელშიც მომატებულია გოგირდისა და ისეთი კომპონენტების შემცველობა, რომელიც გარემოზე უარყოფითად მოქმედებს. მთლიანობაში კი, საწვავის სტრუქტურის განსაზღვრა და შესწავლა ძალიან ძნელია.**

**არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სავაჭრო ქსელში იყიდება პროდუქტი, რომელშიც გოგირდის შემცველობა დასაშვებზე მეტი მოცულობისაა და, შესაბამისად, ეს არის არასტანდარტული, უხარისხო საწვავი, რომლის გავლენაც ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მკვეთრად უარყოფითია.**

**სწორედ ამიტომ იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომლითაც გაკონტროლდება უხარისხო პროდუქციის შემოდინება და გასაღება ადგილობრივ ბაზარზე. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ უხარისხო პროდუქტი ქსელში ნამდვილად იყიდება, თუმცა აქვე ხაზს ვუსვამ, რომ ამის მასშტაბები საგანგაშო არ არის“,** — ამბობს მთვრალაშვილი და დასძენს, რომ უნდა მოხერხდეს პრევენცია, რომ უხარისხო პროდუქტი ბაზარზე აღარ მოხვდეს. პირველ რიგში, ეს მნიშვნელოვანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

**ბექა დანელია**

### მასწავლებლებს ხელფასი გაეზარდათ

**კარიერული სქემის ფარგლებში, პედაგოგებს 1 აპრილიდან ხელფასი გაეზარდათ და ისინი თვის ბოლოს მომატებულ ანაზღაურებას აიღებენ. განათლების მინისტრის თქმით, 50 ლარით გაიზრდება საბაზო ხელფასიც.მისივე თქმით, ხელფასების მომატება მომავალი წლიდანაც იგეგმება.**

**„2012 წელს ჩვენ ჩავიბარეთ საბაზო ხელფასი, რომელიც იყო 245 ლარი. დღევანდელი ცვლილების შედეგად, საბაზო ხელფასი 405 ლარი გახდება, რაც არის დაახლოებით 65%-იანი ზრდა. 2016 წლის აპრილიდან, პრაქტიკოსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის უკვე დაახლოებით 600 ლარი, ხოლო 2012 წელს იყო 360 ლარი. უფროსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის 800 ლარი, 2012 წელს იყო 450 ლარი. წამყვანი მასწავლებლის ხელფასი არის 965 ლარი, 2012 წელს დაახლოებით 500 ლარი იყო. პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში გვაქვს 67%-იანი ზრდა, 78%-იანი ზრდა — უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში და წამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში — 93% ზრდა“, — განაცხადა სანიკიძემ.**

◎ ინტიმ-კლუბი

# იდეალის ძიებაში

**მამაკაცთა აბსოლუტურ უმრავლესობას ისეთი მეუღლე უნდა, რომელსაც ჩვენში „ოჯახის ქალს“ ვეძახით.**

ამის გასარკვევად ამერიკელმა მკვლევარებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში 66 ათასი მამაკაცი გამოკითხეს. გამოკვლევის განზოგადებული შედეგები ასეთია: **იდეალური ქალი გულკეთილია, უყვარს ბავშვები და ცხოველები, აქვს უმაღლესი განათლება და საინტერესო პროფესია. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს მხიარული ხასიათი და იუმორის გრძნობა. ყველაფერთან ერთად, მამაკაცები, თურმე, უპირატესობას 160-დან 172 სანტიმეტრამდე სიმაღლისა და არაუმეტეს 60 კილოგრამი წონის ღია ფერის თვალების მქონე ქერათმიან ქალიშვილებს ანიჭებენ. ქალის იდეალს „შეუძლია“ მეგობრებთან ერთად ზოგჯერ ალკოჰოლიც მიირთვას, ოღონდ თამბაქოს არ უნდა ეწეოდეს.**



ბუნებრივია, რომ ასეთი ქალიშვილები დედამიწაზე საერთოდაც ბევრი არ არის, თანაც უმძაფრეს კონკურენციასაც თუ გავითვალისწინებთ, კონკრეტული ახალგაზრდისთვის ასეთ ქალთან შეხვედრისა და, მით უმეტეს, მისი სიყვარულის დამსახურების ალბათობა, კიდევ უფრო ნაკლებია. თუმცა კი, მადლობა ღმერთს, ცისფერთვალება, ტანკენარა, უმაღლესი განათლების მქონე და ა.შ. თვისებიანი მანდილოსნების გარდა, ქვეყანაზე უამრავი სხვა გარეგნობისა და, ვთქვათ, განათლების ცენზის მქონე ქალიშვილია, რომელთა გულის მოსაგებად ნებისმიერი მამაკაცისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირსების საქმეა. რომანტიკული ურთიერთობების, ასე ვთქვათ, „პრელუდია“ პაემანია, რომელსაც ვაჟიც და ქალიშვილიც უმჯობესია, გულისყურით მიუდგნენ.

პაემანთან დაკავშირებით ფსიქოლოგები რამდენიმე საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობენ. თურმე **პირველ პაემანზე მაგიდასთან ან ოთახში წყვილის საუკეთესო განლაგებაა ერთმანეთის მიმართ დიაგონალზე დაჯდომა** — ამ დროს საუბარი უფრო უშუალოდ და ხალისიანად მიმდინარეობს; პირველი პაემნისთვის ყველაზე პოპულარულია იტალიური რესტორნები; პირველი პაემნის ოპტიმალური ხანგრძლივობა ორ საათს არ უნდა აღემატებოდეს; თუკი პაემანზე ქალიშვილი ჭაბუკით დაინტერესდა, მის ხუმრობებზე მას ეღიმება, უმიზეზოდ წითლდება, თმას თითზე იხვევს და თავს მისკენ ხრის; ქალთან პირველი პაემანის წინ მამაკაცთა 40 პროცენტი საკუთარ თავში ნაკლებადაა დარწმუნებული; ინტიმურ ურთიერთობებამდე წყვილებს ჩვეულებრივ, 6-8 პაემანი აქვთ ხოლმე, თუმცა კი შემთხვევათა 10 პროცენტში ლოგინით პირველივე სრულდება; პირველი პაემნის შემდეგ პაუზის საუკეთესო ხანგრძლივობა 2-4 დღეა, თუმცა ის 4-5 დღეს აღარ უნდა გასცილდეს: წყვილების 90 პროცენტს პირველი კოცნა მეორე პაემანზე აქვს; თუკი გსურთ, რომ პარტნიორის მეხსიერებაში დარჩეთ, პირველ პაემანზე რაც შეიძლება ხშირად მას სახელი დაუძახეთ; ყოველი მეოთხე მამაკაცი თავის ბინას საგანგებოდ არ ალაგებს, რომ ქალის წინაშე თავი ისეთად წარმოაჩინოს, როგორიც სინამდვილეშია; ყოველი მეხუთე ქალი, ვიდრე მამაკაცს თავის სახლში პირველად მიიყვანდეს, ბინაში გარკვეულ საგნებს, ვთქვათ, წიგნს, ან პარტნიორის საყვარელ დისკოს, საგანგებოდ დებს; ორჯერ უფრო წარმატებულია იმ წყვილების პაემნები, ვინც ერთმანეთი ოჯახიდან ან მეგობრებისგან გაიცნეს და ბოლოს, ოთხი ყველაზე გავრცელებული შეცდომა, რომელსაც პირველ პაემანზე უშვებენ, ესენია: **დაგვიანება, გამუდმებით საკუთარ თავზე ლაპარაკი, წარსულ ურთიერთობებზე ზედმეტად მეტი წვრილმანის მოყოლა და ზედმეტი მონდომება.**

**ოთარ ტურაბელიძე**


## განცხადება

**„თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტის (მე-2 მონაკვეთი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების თარიღის ცვლილების შესახებ**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (5.04.2016, №62) გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული „თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის მშენებლობის“ პროექტის (მე-2 მონაკვეთი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის **საჯარო განხილვა, ნაცვლად 25 მაისისა, ჩატარდება 2016 წლის 7 ივნისს.**

საჯარო განხილვები გაიმართება: თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №73) **12 სთ-ზე,** ხოლო, გარდაბნის რაიონის სოფელი კრწანისის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: მე-6 ქუჩა) კი — **16 სთ-ზე.**

პროექტის მიზანია, რომ ჩამოყალიბდეს ეფექტური, ხელმისაწვდომი და ეკოლოგიურად მდგრადი სატრანსპორტო სისტემა, რომელიც იქნება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთის მარშრუტის შემადგენელი ნაწილი.

პროექტის ძირითადი ამოცანაა რუსთავისა და თბილისის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება. მასში გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებები და ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ესტაკადები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ხიდები, სავალი ნაწილის გაფართოება, ავტობუსის გაჩერებები, საყრდენი კედელი, საფეხმავლო ხიდები და სხვა, რაც უზრუნველყოფს თბილისსა და რუსთავს შორის ავტობუსების სწრაფ, უსაფრთხო და სანდო მიმოსვლას და სათანადო კავშირს. მდგრადი ურბანული განვითარების ინვესტირების პროგრამა შემუშავებული იქნა მთავრობის მიერ ქალაქებში ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების, მათ შორის, თბილისსა და რუსთავს შორის ტრანსპორტის ინტენსიური ნაკადით გამოწვეული შეფერხებების მოგვარების მიზნით.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

● **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისი — ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150. ტელ: (995 32) 2437001/02/03/04**

გზშ-ს ანგარიშის განახლებული ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mdf.org.ge

დაინტერესებულმა პირებმა წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეუძლიათ წარადგინონ ქვემოთ მითითებული პირების ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

● ნინო ნადაშვილი E-mail: nnadashvili@mdf.org.ge;
● მედგარ ჭელიძე E-mail: medgarcorresp@yahoo.com.



## განცხადება

2016 წლის 6 ივნისს 15 საათზე, ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება შპს „მალკოს“ მანგანუმის მადნის გადამმუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საწარმოს საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა, მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი დამსხვრევა სათანადო ფრაქციამდე და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● **ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;**

● **შპს „მალკოს“ ოფისში — ქ. ჭიათურა, სოფ. რგანი;**

● **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

**ტელ: 5 (95) 59 52 55; 5(95) 28 75 60.**

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

**შპს „მალკოს“ ადმინისტრაცია**

## ყოჩაღ, გოდაბრელიძე!

**ღვინის** ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე, აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის ხელმძღვანელი, საქართველოს ღვინის სკოლის დამფუძნებელ-დირექტორი და წინანდლის ღვინის სკოლის დირექტორი ანა გოდაბრელიძე 12 აპრილს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ერთ-ერთი კომისიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ დარგის ქართველი ექსპერტი ასეთ მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია 46 წევრ ქვეყანას და 12 დამკვირვებელ ორგანიზაციას აერთიანებს და ენოლოგიის, მევენახეობის, ეკონომიკა-სამართლის, მომხმარებლის დაცვისა და უვნებლობის მიმართულებით მუშაობს. ანა გოდაბრელიძე ბორდოს მონტესკიეს სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ბურგუნდიასა და ბორდოში ღვინის კომპანიებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში მუშაობდა. მას საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს.

## ქართული ღვინის კომპანიები ტოკიოში

**იაპონიის** დედაქალაქ ტოკიოში საერთაშორისო გამოფენა „Wine and Gourmet Japan 2016“ მიმდინარეობს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წარმოდგენილია 8 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია: „თბილღვინო“, „ვაინმენი“, „ბაგრატიონი 1882“, „ქინძმარაული“, „წერეთლის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, „მარანული“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და „ბესინი“.

გამოფენის გახსნას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ.




ღონისძიების პირველ დღეს ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე უძღვებოდა. სემინარის მიმართ ღვინის პროფესიონალებისა და ადგილობრივი მედიის მხრიდან დიდი ინტერესი იყო.

იაპონია 2014 წელს გამოიკვეთა როგორც ქართული ღვინის ექსპორტისთვის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი ბაზარი. სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ბოლო 2 წლის მანძილზე, ქართული ღვინო იაპონიაში გამართულ მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენებზე უკვე მეხუთედ არის წარმოდგენილი.

ქართული ღვინის კომპანიების აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, მის ბაზარზე შესვლისა და დამკვიდრების, ასევე ადგილობრივი დისტრიბუტორი კომპანიების მოძიების საუკეთესო გზას წარმოადგენს.

გასულ წელს „Wine and Gourmet Japan“-ს ესტუმრა 75 ათასზე მეტი ვიზიტორი. გამოფენისადმი ინტერესი წელსაც დიდია. ის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და პერსპექტიულ გამოფენად ითვლება აზიის მასშტაბით და მასში მონაწილეობა პრიორიტეტულია ქართული ღვინის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

## ცინცხალი ანეკდოტები

**თუ** დგახარ და, იმავდროულად, ზიხარ, ესე იგი, ციხეში ხარ, ხოლო თუ ზიხარ და, იმავდროულად, დგახარ, ესე იგი, მანქანით ხარ საცობში.

* * *

— **ივან,** აქ პეტკა იყო. შენთან ერთად შეშის დაჩეხვა უნდოდა. რად არ გამოჩნდი?

— მისი ვალი მაქვს და არ ვაძლევ. ამიტომაც დავიმალე. ის კი საიდან მოიტანე, რომ შეშის დაჩეხვა უნდოდა?

— რა ვიცი, ნაჯახით მოვიდა და...

* * *

— **დედი,** რატომ ატარებდნენ ქალები ადრე ჭრილიან ხელთათმანებს?

— რათა კავალერებს მათი ხელებზე კოცნის საშუალება ჰქონოდათ.

— აჰა, ახლა უკვე ვხვდები, რატომ ატარებს ჩვენი დირექტორი უკან ჩაჭრილ პიჯაკს.

* * *

**არ** მესმის იმ ადამიანებისა, დაწვებიან თუ არა, მაშინვე რომ იძინებენ.

თქვენ რა, ფანტაზია არა გაქვთ?

* * *



— **იცი,** რომ სტატისტიკის მიხედვით ყოველი მეორე ქალი ქმარს ღალატობს?

— რა ჭირად მინდა შენი სტატისტიკა? მე მჭირდება სახელები, მისამართები, ტელეფონები...

## საჭიროა კი მაჭანკლობა?

**ჩატარებული გამოკითხვით, მკვლევარებმა იმის დადგენა სცადეს, თუ რამდენად სარგებლის მომტანია პირადი ცხოვრების მოწყობაში ახლობლების დახმარება.**



45 პროცენტის აზრით, ამას არანაირი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან მათი შეხედულება ქორწინებაზე მოძველებულია, თანამეცხედრე კი ყველამ თავისით უნდა აარჩიოს.

26 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი დახმარება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების გამო მეტად ფასეულია. ისინი ახალგაზრდებს შესაფერისი საქმროებისა და საცოლეების შერჩევაში ეხმარებიან.

19 პროცენტს კი ამაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, რადგან საკითხზე არასდროს დაფიქრებულა.

## 50 მილიონიდან მხოლოდ ერთი შანსი!

**გასულ ზაფხულს, ნიუ-იორკში ერთკვერცხა სამი ტყუპი დაიბადა. ეს ნამდვილად უიშვიათესი შემთხვევაა, რადგან ამის ალბათობა 50 მილიონზე მხოლოდ ერთია!**

ბიჭუნები 1 ივლისს დაიბადნენ, თითოეული მათგანის წონა გაჩენისას ერთ კილოგრამზე ოდნავ მეტი იყო. ბავშვების მშობლებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ ბავშვები ექიმების მიერ დადგენილი რეჟიმით ცხოვრობენ. მათ ყოველ სამ საათში ერთხელ აჭმევენ და საკვების მიღების შემდეგ აძინებენ.



## რა სურთ ქალებს?

**ზოგს ჰგონია, რომ ქალებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია არა სექსის ხარისხი, არამედ მისი ოდენობა. არადა, აქამდე მიჩნეული იყო, რომ ხშირი სექსის ტრფიალნი უფრო მამაკაცები არიან, ქალბატონებისთვის კი უფრო მომხიბლავია პარტნიორთან სულიერი სიახლოვე. ნუთუ ახლა ესეც შეიცვალა?**

— პარტნიორთან ემოციური კონტაქტი ქალებისთვის ფიზიკურ სიახლოვეზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, — ამბობს ოჯახურ ურთიერთობათა სპეციალისტი, ფსიქოლოგიური ცენტრის „დომის“ ხელმძღვანელი სვეტლანა შიშკოვა. — ამიტომ, სექსის სიხშირე მათთვის პრინციპული არ არის. მაგრამ, თუკი ჩვეული გრაფიკი მკვეთრად იცვლება (რაც ხშირად ხდება ქორწინების, ბავშვის გაჩენის, ყოფითი უთანხმოებების შემდეგ), ამას ქალები ხშირად საკუთარი პერსონისადმი ინტერესის დაკარგვად აღიქვამენ, რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ მამაკაცი „სხვაგან დარბის“. სწორედ ამ განცდების გამოა, რომ ბევრნი თავს უბედურად გრძნობენ. ხშირი სექსი კი (თუნდაც ის მათ ინდივიდუალურ მოთხოვნას აჭარბებს) — იმის მაჩვენებელია, რომ საოჯახო ფრონტზე ყველაფერი ძველებურადაა, ყოველგვარი არასასურველი ცვლილებების გარეშე.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

### ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

### გამოიწერეთ:

**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.278; ევრო - 2.595;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.244;
100 რუბლი - 3.410; თურქული ლირა - 0.803;
აზერბაიჯანული მანათი - 1.476;
1000 სომხური დრამი - 5.706

### ამინდი 15 აპრილისთვის

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +20 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +22 |

### ჩვენი მისამართია:

თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE